# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 29 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 262-263 (6362-6363)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სიმართლე, რომელიც საზოგადოებამ უნდა შეიტყოს



მემორიალის აღდგენაზე თანხმობა არავისთვის მიმიცია! 2

## მაკიაველის ნელინადი მიდის

ზუსტად ერთი წლის წინათ, მოაზროვნე საქართველოს დიდი ნაწილი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილის რეჟიმი, დღეს თუ არა ხვალ მაინც, სულს დალევდა. ამ იმედს ახდენა არ ეწერა, რადგან ბატონი და ქალბატონი მოაზროვნეების რწმენა, სამწუხაროდ, შორს იყო სალი აზრისგან.




2–3



4

## 32 წელიწადი მშიმე ჯვრითა და ღვთის გზით

## სააკაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ აიღო დიდების მემორიალი




32

## დიდი მამის ღირსეული შვილი

31





## ქართული ენა და მუსიკა ამერიკულ FM-ზე

33

## კოლეგებმა ნათელაშვილის დაყოლიება მაინც ვერ შეძლეს

„შესანიშნავი სამეულის“ შესანიშნავი ვოიაჟი 2



## ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება

ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

5–30

ტრაგედიის კვალდაკვალ

# მემორიალის აღდგენაზე თანხმობა არავისთვის მიმიცია!

## სიმართლე, რომელიც საზოგადოებამ უნდა შეიტყოს



ქუთაისის მემორიალის აფეთქების შემდეგ მედიით გავრცელდა ხმა, რომ მოქანდაკე საავადმყოფოში იმყოფება, ცუდად არის და მარჯვენა წაერთვა. ასეთ დროს ამგვარი რამის თქმა ჭორაობაა და ამორალურია. მე ავად არ ვყოფილვარ და, ბუნებრივია, არც საავადმყოფოში ვწოლილვარ. რაც შეეხება მარჯვენას, იგი მარჯვედაა. ამას იმიტომ ვწერ, რომ შესაძლებელია, ბევრმა ჩემმა კეთილისმოსურნემ დაიჯერა გავრცელებული ჭორი და ვიცი, სიმართლე მათ გაახარებს. გულისტკივილი, წუხილი და სინანული კი, ბუნებრივია, მქონდა და მაქვს როგორც საქართველოსთვის დაკარგული მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების გამო, ისე იმ უდიდესი ტრაგედიის გამო, რაც ამ აფეთქებას მოჰყვა.

ახლა კი ის მთავარი, რისთვისაც წერილით მოგმართავთ:

თქვენთვის ცნობილია, რომ ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქებამ მსოფლიოს მასშტაბით ჰპოვა გამოხმაურება და დიდი შეშფოთება გამოიწვია. რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა გამოთქვა იდეა და სურვილი იმისა, რომ მემორიალი მოსკოვში აღდგენილიყო. ამასთან დაკავშირებით პირადად მომმართა რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრმა ალექსანდრე ავდეევმა. ცხადია, მე მას წერილის გამოგზავნის გამო მადლობა მოვახსენე, მაგრამ ამავე დროს, პასუხად ვუთხარი ის, რასაც აფეთქების დღიდანვე ვამბობდი: ამ მემორიალის აღდგენის საკითხის განხილვაც კი საერთოდ შეუძლებელია; სამწუხაროდ, გარდაცვლილია ძეგლის არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი, აღარ არის შემორჩენილი არც პროექტი და მაკეტი, არც ფორმები და ესკიზები; გარდა ამისა, დღეისათვის აღარ არსებობს არც ის სამშენებლო საწარმოები, სადაც ეს მემორიალი შეიქმნა.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა აზრი, თითქოს ავტორი დაეთანხმა მემორიალის აღდგენის იდეას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს აზრი ალბათ ზოგიერთი გულშემატკივრისა და ჟურნალისტის სურვილი და ინტერპრეტაციაა.

მემორიალის აღდგენაზე თანხმობა მე არავისთვის მიმიცია!

როგორც მოგეხსენებათ, ხელოვნების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ თვით ავტორის ხელს შეუძლია, გააცოცხლოს ინერტული მასალა და სული შთაბეროს მას. ამიტომაც მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მემორიალის სხვა ავტორის მიერ აღდგენისა, რადგან თვით ჩემი კონსულტაციების მიუხედავადაც კი, შეუძლებელი იქნება ძეგლის პირვანდელი სახის აღდგენა და ის ორიგინალის უსულო პაროდიას დაემსგავსება. მე კი, ჩემდა სამწუხაროდ, ძალა აღარ შემწევს აღვადგინო მემორიალი. აი, ეს არის ჭეშმარიტება.

**მერაბ ბერძენიშვილი,**
მოქანდაკე



ოპოზიცია

# „შესანიშნავი სამეულის“ შესანიშნავი ვოიაჟი

## კოლეგებმა ნათელაშვილის დაყოლიება მაინც ვერ შეძლეს



**პრაიმერი აუცილებლად შედგება!**

**ამ იდეისადმი ერთობ სკეპტიკურად არის განწყობილი ხელისუფლება და საზოგადოების ნაწილიც, მაგრამ პრაიმერის ლობისტი „შესანიშნავი სამეული“ ამ აზრს ვერაფრით ვერ ეგუება. კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და ზურაბ ნოღაიდელი პრაიმერის იდეის მხარდამჭერებს გამბედლებული დაეძებენ.**

იანვარში სხვა პოლიტიკური პროცესი არ გვექნება, გარდა პარტიათა შორის კონსულტაციებისა, — განაცხადა კობა დავითაშვილმა ლეიბორისტების ოფისში გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე.

სანამ ძიძიგური, დავითაშვილი და ნოღაიდელი ლეიბორისტებს ესტუმრებოდნენ, იქამდე „საქართველოს გზის“ ოფისში გამოიარეს. სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრაზე დააგვიანა, თუმცა მისი გაკეთებული წინასწარი კომენტარიდან ჩანდა, რომ ამ ვოიაჟს არცთუ სერიოზულად აღიქვამდა.

„საქართველოს გზის“ ლიდერი ადგილობრივი არჩევნების ჩატარების წინააღმდეგია. მას არც პრაიმერის იდეა ხიბლავს, თუმცა კოლეგებთან კონსულტაციას, როგორც თვითონ ამბობს, მაინც გააგრძელებს.

პრაიმერის ლობისტებმა შალვა ნათელაშვილთან მოსალაპარაკებლად გადაინაცვლეს. ჟურნალისტებისთვის დიალოგის პროცესი დახურული იყო, თუმცა ბოლოს ბრიფინგს ლიდერებმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს.

**„ჩვენ განვიხილეთ მომავალი ადგილობრივი არჩევნები და პარტიული პრაიმერის პრობლემები, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა, — მართალია, ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებ, თუმცა პრაიმერიც საინტერესო სტრატეგიაა. საერთოდაც, მიგვაჩნია, რომ მომდევნო არჩევნები სწორედ პარტიათაშორის პრაიმერზე და პოლიტიკური სპექტრის გაფილტვრაზე უნდა აიგოს. ამჟერად პოლიტიკური ფონი არ არის და არც ხელისუფლების ნება არსებობს იმისთვის, რომ არჩევნებმა სამართლიან რეჟიმში ჩაიაროს. ლეიბორისტების აზრით ბოიკოტი უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა ჩვენი კოლეგების სტრატეგია სხვაა“,** — დასძინა შრომის პარტიის თავმჯდომარემ.

**კობა დავითაშვილმა** მოიწონა ნათელაშვილის კეთილგანწყობილი და კორექტული პოზიცია. **„მიგვაჩნია, რომ ლეიბორისტების დამოკიდებულება კოლეგებისადმი სამაგალითოა, ჩვენ ერთიანი ძალით ვიბრძოლებთ სააკაშვილის რეჟიმის დასასრულებლად,“** — აღნიშნა მან.



**ზურაბ ნოღაიდელიც** ამბობს, რომ კოორდინაცია პარტიებს შორის გაგრძელდება, ვინაიდან მომავალი კოალიციურ მთავრობებს ეკუთვნის, რასაც სწორედ პრაიმერი ჩაუყრის საფუძველს.

**ზვიად ძიძიგურის** აზრით, თანამშრომლობა აუცილებლად გაგრძელდება და იმედი აქვს, რომ ადგილობრივი არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ლეიბორისტებს ქუჩის აქციებზე აუცილებლად შეხვდებიან.

ეს აზრი ლეიბორისტთა ლიდერმაც მოიწონა.



ზვიად ძიძიგურმა, კობა დავითაშვილმა და ზურაბ ნოღაიდელმა ამის შემდეგ მწვანეთა ოფისში გადაინაცვლეს და იქ შეეცადნენ პრაიმერის ჩატარების აუცილებლობაში გიორგი გაჩეჩილაძის დარწმუნებას.

**ამ ხმაურიანმა ვოიაჟებმა საბოლოოდ შეიძლება მართლაც შედეგი გამოიღოს. თუ არადა, იმას მაინც მიაღწევენ, რომ ერთმანეთის მიმართ ლოიალურები გახდნენ და პარტიებს შორის კომუნიკაბელურობა შედგეს, როგორც ეს გუშინდელმა ვიზიტებმა დაამტკიცეს.**

**თეა მოსია**

დღეს — ხვალისთვის

# მაკიაველის წელიწადი

**ზუსტად ერთი წლის წინათ, მოაზროვნე საქართველოს დიდი ნაწილი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილის რეჟიმი, დღეს თუ არა ხვალ მაინც, სულს დალევდა. ამ იმედს ახდენა არ ეწერა, რადგან ბატონი და ქალბატონი მოაზროვნეების რწმენა, სამწუხაროდ, შორს იყო საღი აზრისგან.**

თავიდანვე რომ ყველაფერი ნათელი იყოს, ბარემ აქვე ვიტყვი: ახდენა არ უწერია გამოუსწორებელ ოპტიმისტთა იმედს 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში ნაცების დამარცხების თაობაზე.

ელემენტარული ლოგიკით, ნაცების ხელისუფლება რუსეთთან სამარცხვინო ომის დამთავრებისთანავე, 2008 წლის 8 აგვისტოს სისხამ დილით უნდა დამთავრებულიყო.

დამთავრდებოდა კიდეც, რომ არა ჩვენი, „მოაზროვნე საქართველოს,“ ცრუ პატრიოტული აღტყინება ფსევდო-ოპოზიციური პარტიების ფარისევლური ლოზუნგით: — ხელები შორს ჩვენი პრეზიდენტისგან!

ქართული საზოგადოება ძალიან დიდ იმედს ამყარებდა წლევანდელი 9 აპრილის „საერთო-სახალხო“ მიტინგზე. 1991 წლიდან მოყოლებული, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ოპოზიციამ ერთი მიზნით გაერთიანება შეძლო. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. ორგანიზაციული თვალსაზრისითაც, ნაცების ხელისუფლების „დამამთავრებელი“ აქცია თითქმის უნაკლო იყო — ტრიბუნა, დროშები, საკნები, რეგიონული დელეგაციები, ქალაქის ცენტრალური მაგისტრალების გადაკეტვა, პარლამენტის ბლოკირება, მქუხარე გამოსვლები, ტუალეტიც კი შუა თავისუფლების მოედანზე!

თუმცა, ძალიან სწრაფად გაირკვა, რომ თუნდაც მრისხანე, მაგრამ ყოვლად მშვიდობიანი აქციებით სააკაშვილ-მერაბიშვილის ხელისუფლების „დამთავრება“ კი არა, შერყევაც შეუძლებელი იყო. ეტყობა, „დამამთავრებლებს“ რადიკალურად განწყობილი საზოგადოებრივი აზრის და, რაც მთავარია, ხელისუფლების მცირეოდენი სინდისიერება-პასუხისმგებლობის იმედი ჰქონდათ. ეს იყო ტრაგიკომიკური შეცდომა—ხელისუფლებამ, საერთოდ, ფეხებზე დაიკიდა ოპოზიციაც, პარლამენტიც, ხალხიც, მიტინგიც, სახელმწიფოს მართვაც და ღრმა იატაკქვეშეთში საიმედოდ ჩაიკეტა. ასი ათასკაციან ბობოქარ თავყრილობებზე მრავალი დღის განმავლობაში ერთი ფორმიანი კაციც კი არ გაჭაჭანებულა!

მიტინგების სრული უგულებელყოფა ხელისუფლებამ დემოკრატიზმის პრინციპებისადმი საკუთარი ერთგულებით ახსნა და ამ უმაგალითოდ ხანგრძლივი აქციის მნიშვნელობა მის მონაწილეთა რაოდენობაზე დაიყვანა — **ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც გარანტირებულია სიტყვის, გამოხატვის, მიტინგების, დემონსტრაციების თავისუფლება. ეს „ვარდების რევოლუციის“ მონაპოვარია! დიახ, ხელისუფლებისადმი პროტესტს გამოხატავს 30 000 კაცი, მაგრამ მხარს გვიჭერს ასჯერ მეტი, აი, ისინი, ვინც არ დგანან მიტინგებზე!**

რასაკვირველია, მთელი სიმძლავრით ამუშავდა მერაბიშვილის საიდუმლო სამსახურებიც: დასმენა, ცილისწამება, ხმების გავრცელება, შანტაჟი, დაშინება, მოტაცება, გადაბირება...

აღარაფერს ვამბობ ხელისუფლების ყურმოჭრილ მონად ქცეულ მასმედიაზე, რომელსაც „ტრიუმვირატი“ ხელისუფლების სათავეში მისვლამდეც პოლიტიკური ანგარიშსწორების და პოლიტიკური მანიპულირების ინსტრუმენტად იყენებდა.

საზოგადოებრივი რისხვისადმი ცინიკური დამოკიდებულებით ხელისუფლებამ საკმაოდ სწრაფად მოახერხა „ტემპერატურის დაგდება,“ პროტესტის ორგანიზატორთა ჯერ დეზორიენტაცია, მერე მათ შორის უნდობლობა-უთანხმოების ჩამოგდება და, საბოლოოდ, დაშლა-დანაწევრება და ურთიერთდაპირისპირებაც კი.

თუმცა, ყველა ცოდვას ხელისუფლებას ნუ გადავაბრალებთ: მიმავალ წელს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად გამოაჩინა მთლიანად ქართული საზოგადოების უაღრესად დაბალი პოლიტიკური კულტურა, შემგუებლური ბუნება, ხელისუფლებისადმი პათოლოგიური შიში და, მეორეს მხრივ, ოპოზიციური ძალების უმრავლესობის თავკერძობა, განდაგანობა, პოლიტიკის ხარჯზე ცხოვრების სურვილი და სახელმწიფოებრივად აზროვნების დეფიციტი.

გამოჩნდა კიდევ ერთი მოურჩენელი სენი — ეგრეთ წოდებული „ქართული ბიზნესის“ ნიჰილიზმი, სილაჩრე და, მაპატიეთ, სიბრიყვეც. ისიც, ხელისუფლებასავით, გალავნიან ვილებში და უზარმაზარ დაბურულ ლიმუზინებში ჩაიკეტა, ბრჭყვიალა სათამაშოებში (რესტორნები, პრეზენტაციები, ძვირფასეული, აგარაკები, პრესტიჟული ბოზები...ძ ყელამდე ჩაეფლო და საკუთარი არსებობის მთავარი წყარო — მშობელი ხალხი — პირწმინდად დაივიწყა... სხვათა შორის, საკუთარი ყოფნა-არყოფნის პრობლემაც.

როცა გაცხადდა, რომ საქმეს არც „ასწლიანი“ მიტინგი, არც საკნები და არც №5 სატელევიზიო საკანში ნებაყოფლობით ჩატუსაღებული უმცროსი გაჩეჩილაძის მგზნებარე მონოლოგები არ უშველიდა, ქუჩის ერთგულმა ოპოზიციამ „სათადარიგო“ გეგმა აამუშავა — „ხალხში გასვლები“ დაიწყო. თანაც, „მასების აგორების“ მუქარანარევი დაპირებით.



„ქართული აკადემიის“ განცხადებები

# სამართლიანი არჩევნების ჩატარება ქვეყნისთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა

**2009 წლის 26 დეკემბერს „ქართული აკადემიის“ ინიციატივით სამეფო უბნის თეატრში შეიკრიბნენ არასამთავრებო ორგანიზაციები და საზოგადოების წარმომადგენლები. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საზოგადოებისადმი.**

დღეს ქვეყანაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ვდგავართ პოლიტიკური პროცესების კანონიერებისა და მშვიდობიანი განვითარების ჩარჩოებიდან გამოსვლის წინაშე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ:

ქვეყანაში უნდა შეიქმნას ნორმალური საარჩევნო გარემო;

სამართლიანი, მიუკერძოებელი არჩევნების ჩატარება ქვეყნისათვის სასიცოცხლო აუცილებლობაა;

ამ პროცესში საზოგადოების ყველა ფენა და წარმომადგენელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული პასიური ან აქტიური საარჩევნო უფლებით და მის მიმართ უნდა იყოს მაღალი ანგარიშვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება აცხადებს, რომ:

ქ. თბილისის მერი არჩეული უნდა იყოს 50+1 საარჩევნო ბარიერით, რამაც უნდა უზრუნველყოს არჩეული მერის მაღალი ლეგიტიმურობა;

პოლიტიკურ ძალებს საარჩევნო პროცესში მონაწილეობისას უნდა ჰქონდეთ თანაბარი პირობები;

საარჩევნო პროცესი თავისუფალი უნდა იყოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ჩარევისაგან;

საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტებული უნდა იყოს სამართლიანობისა და პარიტეტის საფუძველზე;

აღმოფხვრილ უნდა იქნეს ამომრჩეველზე პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიწყებთ სამოქალაქო კამპანიას ამ პრინციპების საარჩევნო პროცესში დამკვიდრებისათვის და, შესაბამისად, ერთიანი საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენისათვის ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, რისთვისაც ვაყალიბებთ საინიციატივო და იურიდიულ ჯგუფებს კონკრეტულ აქტიურობათა დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

მოვუწოდებთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჩაერთონ ამ პროცესში;

მოვუწოდებთ ცალკეულ ექსპერტებს, საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კამპანიაში;

მოვუწოდებთ საქართველოში წარმოდგენილ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მხარი დაუჭირონ სამოქალაქო საზოგადოების მცდელობებსა და ნაბიჯებს საქართველოში ნორმალური საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

# ყოველგვარ მცდელობას, მოგვაწერონ ის, რაც არ არის, ადეკვატურ პასუხს გავცემთ

**უკანასკნელ დღეებში მკაფიოდ იკვეთება ხელისუფლების მცდელობა, მის მიერ პირდაპირ თუ ირიბად მართული მედიასაშუალებების გამოყენებით „ქართული აკადემია“ წარმოაჩინოს ისეთ ორგანიზაციად, რომელიც:**

ა) მხარს უჭერს ხელისუფლების შეცვლას ძალადობრივი გზით (რა გზითაც, სხვათა შორის, თვითონ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლებაძ;

ბ) მხარს უჭერს ამა თუ იმ ფორმით რუსეთის აგრესიულ ჩარევასა თუ გავლენის მოპოვებას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნული მედიასაშუალებების ეს მცდელობები ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა ღონისძიებაზე „ქართული აკადემიის“ წევრთა კონტექსტიდან ამოგლეჯილ და, ამდენად, არსებითად დამახინჯებულ გამონათქვამებს. როგორც ჩანს, ხელისუფლება მისთვის ჩვეული მეთოდებით ამზადებს ნიადაგს ახალი „შეთქმულების“ გამოსავლენად და ამთავითვე ეძებს გზას ყველა არასასურველი ოპონენტის ჩამოსაშორებლად.

ამასთან დაკავშირებით, „ქართული აკადემია“ დაბეჯითებით აცხადებს:

1. ჩვენ მხარს ვუჭერთ ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით, ვმონაწილეობთ და მომავალშიც მივიღებთ მონაწილეობას ამ პროცესში;

2. ნებისმიერი დონის არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ჩვენ მხარს დავუჭერთ მწვავე საპროტესტო ღონისძიებებს კონსტიტუციურ ფარგლებში და მონაწილეობას მივიღებთ ამ პროცესში;

3. არ გვქონია და არც ვაპირებთ ფარულ ურთიერთობას რუსეთის, როგორც ოკუპანტი ქვეყნის, სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო წრეებთან.

ეს არის „ქართული აკადემიის“ მტკიცე პოზიცია და ყოველგვარ მცდელობას, მოგვაწერონ ის, რაც არ არის და ამაზე ააგონ პროპაგანდისტული შეტევა ჩვენს წინააღმდეგ, ადეკვატურ პასუხს გავცემთ.

26.12.2009

## ◉ ინფორმაცია

### პირველი პრეზიდენტის ქვრივი პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს

**საქართველოს** პირველი პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია გერმანიას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ანგელა მერკელის სახელზე დაწერილი შესაბამისი განაცხადი ქვეყნის ყოფილმა პირველმა ლედიმ საქართველოში გერმანიის საელჩოში უკვე დატოვა.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია აღნიშნულის მიზეზად მის ოჯახზე გამუდმებულ „ტერორს“ ასახელებს.

– იძულებული გავხდი გერმანიის რესპუბლიკის საელჩოსთვის ამ წინადადებით მიმემართა. თუმცა, საქართველოს მოქალაქეობაზე უარს არ ვიტყვი იმ შემთხვევაშიც კი, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ჩემთვის პოლიტიკური თავშესაფრის მონიჭების თაობაზე დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, – განაცხადა საქართველოს ყოფილმა პირველმა ლედიმ.

### „შეუმდგარი ქვეყანა და უუნარო სახელმწიფო“

**რუსეთის** ფედერაციაში სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩის დიმიტრი მედოევის განცხადებით, საქართველოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიდან არავითარი გაკვეთილი არ მიუღია. მისივე თქმით, აგვისტოს ომი იყო „თბილისის რეჟიმის იდეოლოგიის“ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური მარცხიც.

– საქართველო, ეს ხომ შეუმდგარი ქვეყანა და უუნარო სახელმწიფოა. სხვა დანარჩენი ილუზიაა. რაზე უნდა ველაპარაკოთ ვირტუალურ ქვეყანას. ეს რეჟიმი გაკოტრებულია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, – აცხადებს მედოევი.

რაც შეეხება ქართველ ხალხს, მისი განმარტებით, მათ კარგად ესმით, რომ „ქართველი ხალხი მათი მეზობელია და საქართველოს ამჟამინდელი, არაადეკვატური ხელისუფლების ქმედებებზე ის პასუხს არ აგებს“.

– როგორც ამბობენ, ფიურერები მიდიან და მოდიან, ხალხი კი რჩება, – დასძენს მედოევი.

### აფხაზურ სახელს ამოფარებული რუსული ჭაბურღილები

**პარლამენტის** ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთში ნავთობის მოპოვების მიზნით ჭაბურღილების ამუშავებაზე მიღწეულ შეთანხმებას აპროტესტებს და მთავარ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სთხოვს.

ამის შესახებ განცხადება დავითაიამ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთში ნავთობის მოპოვების მიზნით აფხაზეთში სააქციო საზოგადოება „შელფ-აფხაზიი“ დაფუძნდა, რომლის უკანაც რუსული „როსნეფტი“ დგას. ხოლო „შელფ-აფხაზიის“ რუსეთის მოქალაქე ვლადიმ ივანოვი ხელმძღვანელობს, რომელიც მანამდე „როსნეფტის“ წარმომადგენელი იყო.

დავითაიას ინფორმაციით, შავ ზღვაში დაგეგმილია ორი ჭაბურღილის ამუშავება. აქედან ერთი გუდაუთის რაიონში, ხოლო მეორე ოჩამჩირეში ამოქმედდება. მისი თქმით, აღნიშნული სამუშაობის ჩატარების მიზნით „როს-ნეფტი“ პირველ ეტაპზე 1 მილიარდ რუსულ რუბლს აბანდებს, მოგვიანებით კი დადგემილია დამატებით 15 მილიარდის ინვესტირება.

ჯი-ეიჩ-ენი

# მიდის

„გასვლების“ იდეა უცხოელი „მეგობრებისგან“ ზურგშექცეულმა ამირა საჰაკმაც (სააკაშვილმაძ სასწრაფოდ აიტაცა – სანამ მისი პოლიტიკური ოპონენტები ბჭობდნენ, მთელ საქართველოს თავის ნაზირ-ვეზირებიანად ორმოცდაათჯერ მაინც სულმოუთქმელად შემოურბინა. რა ნახა და რა ისწავლა, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ოპოზიციას სირბილში და დაპირებებში რომ შორს გაუსწრო, ნამდვილად ვიცი.

სააკაშვილის თეატრალური „ხალხში გასვლები“ დიდი ხანია ირონიის და ანეკდოტების წყაროდ ქცეულიყო, მაგრამ ოპოზიციის მამებს ამ ფაქტმა პრეზიდენტის გატკეპნილი ბილიკიდან ვერ გადაახვევინა – გუბაზმა გლახაკის სამოსი გადაიცვა, კოკო დერვიშად იქცა, სალომე – კონკიად და გაუდგნენ გზასა. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მიხვდნენ, რომ ამირას ჭკუით და ეშმაკობით ვერ აჯობებდნენ, პოლიტიკოსთაგან საექსპერიმენტოდ განწირულ საკუთარ ხალხსაც სანუგეშოს ვერაფერს ეტყოდნენ და მალე ისევ საკუთარ თბილ ოფისებს დაუბრუნდნენ.

მიმავალ წელს საგულისხმო სხვაც ბევრი მოხდა, მაგრამ მაინც ხელისუფლების მოქმედების მთავარ მიმართულებად დარჩა წარსულთან ბრძოლა, საქართველოს მოქალაქეთა ცნობიერებიდან ყველაფერი იმის ამოშანთვა, რაც მათ საკუთარ ისტორიულ მეხსიერებასთან აკავშირებდა.

სააკაშვილის დაუოკებელ ლტოლვას, ადგილები და სახელები შეუცვალოს აბსოლუტურად ყველაფერს, აშენოს გზები, შადრევნები, გრანდიოზული ნაგებობები და თვით ახალი დედაქალაქიც კი, არ შეანელოს მოჩვენებითი რეფორმების ტემპი, გამუდმებით და უსაბაბოდ ცვალოს უმაღლესი თანამდებობის პირები, გამოიგონოს ახალ-ახალი მტრები და მოღალატეები, გამართოს გრანდიოზული კონცერტები და სანახაობები, ბევრს ახალგაზრდა პრეზიდენტის და მისი „ჩემი გუნდის“ ახირებად, თავქარიანობად ან, სულაც, შიზოფრენიის გამოვლინებად მიაჩნია. 2009 წელი ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. პირიქით, როგორც კი რუსული კატასტროფის შემდეგ პრეზიდენტმა (ჩვენი ხელშეწყობითძ გული საგულეს დაიგულა, ყველაფერს ერთად ისევ ბულასავით დაეძგერა.

ვაი რომ, ეს არც ახირება ყოფილა, არც თავქარიანობა და არც შიზოფრენია. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება, რისი თეორიული საფუძველი ამ ხუთასიოდე წლის წინათ შექმნა ისტორიაში ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველის სახელით ცნობილმა იტალიელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ.

მოდი, მხოლოდ ის ფაქტი გავიხსენოთ, რითაც სააკაშვილმა მიმავალი წელი დააგვირგვინა, ორი უმანკო სიცოცხლე შეიწირა და რასაც უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა მთელ მსოფლიოში – დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის (დიდების მემორიალიძ ბარბაროსული დანგრევა საქართველოს „ახალ დედაქალაქ“ ქუთაისში.




მართალია, სააკაშვილის განათლებულობაზე საუბარი უმადური და საჭოჭმანო საქმეა, მაგრამ შეუძლებელია არ იცოდეს, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 000-მდე ადამიანი მონაწილეობდა და აქედან 300 000-ზე მეტი დაიღუპა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც ფაშიზმზე გამარჯვებისთვის მსხვერპლი არ გაეღოს. სავარაუდოდ, მან ისიც უეჭველად უნდა იცოდეს, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ მხოლოდ საბჭოთა კავშირი და იოსებ სტალინი კი არა, მთელი განათლებული მსოფლიო იბრძოდა. მას ყურმოკვრით მაინც ეცოდინება, რომ ნებისმიერი ნორმალური გერმანელი დღესაც თავს ვალდებულად თვლის, ბოლომდე მოიხადოს კატეგორიის წინაშე გერმანელი ხალხის მიერ ოდესღაც ჩადენილი დანაშაულების გამო.

**სააკაშვილი იმიტომ კი არ გასცემს მერაბ ბერძენიშვილის, მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკის, ერთ-ერთი შედევრის აფეთქების ბრძანებას, რომ იგი მართლა საბჭოთა გადმონაშთი ჰგონია,– იმიტომ გასცემს, რომ მას უნდა საქართველოს ისტორია მისი გაპრეზიდენტების დღიდან დაიწყოს.**

მაკიაველის იდეების მიმდევარი სააკაშვილი (სხვათა შორის, სავსებით შესაძლებელია, მას ნიკოლო მაკიაველის სახელი, საერთოდ, არც გაეგონოსძ იძულებულია, ასე მოიქცეს – სხვანაირად მმართველობის არსებულ რეჟიმს და საკუთარ პერსონას ამ მმართველობის სათავეში ვერ შეინარჩუნებს. „მტერი სახელმწიფო“, „მტერი ხალხი“, „მტერი მთავრობა“ მას მხოლოდ არსებული ვითარების შესანარჩუნებლად სჭირდება. ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე და კიდევ ბევრი რამ, საზოგადოების გამუდმებულ შიშში ყოფნიდან ფეიერვერკებამდე, ზუსტად მისდევს მაკიაველის კაცთმოძულე თეორიას.

**თუმცა, ნიკოლო მაკიაველის მოძღვრებასა და მიხეილ სააკაშვილის მოქმედებას შორის არის არსებითი წინააღმდეგობა, რაც შეუძლებელს ხდის ქართველი ჩეზარე ბორჯიას მიზნის ნაწილობრივ აღსრულებასაც კი – მოქმედების მოტივაცია: მაკიაველი წერს იმ მმართველისთვის, ვინც ძლევამოსილი სახელმწიფოს შექმნას აპირებს! უკვე ექვსი წელიწადია, უცხოელი „მეგობრების“ ხელში შემყურე და მერაბიშვილის დაკრულზე მოცეკვავე სააკაშვილის უდიადესი მიზანი არ შეიძლება იყოს და არც არის „ძლიერი სამთავროს“ შექმნა. მისი მიზანია ძალაუფლების ნებისმიერი საშუალებით შენარჩუნება, თუნდაც – ფორმალურად. მაკიაველის მოძღვრების არსი მისთვის მიუწვდომელი სიმაღლეა.**

ამიტომ არ არის ძნელი სააკაშვილის და მისი „ჩემი გუნდის“ მომავლის წინასწარმეტყველება – შესაძლოა, მხოლოდ თარიღები შეგეშალოს.

სააკაშვილის ბედს ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის ნამდვილად არ ვინატრებდი. მისთვის არც სააკაშვილი და მისი ოჯახი მემეტება...

მაკიაველის წელიწადის წასვლას გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო!

**თეიმურაზ ძორიძე**

სულიერება

# 32 წელიწადი მძიმე ჯვრითა და ღვთის გზით



## ფაზისის საერო აკადემიის წევრები საქართველოს კათოლიკოს– პატრიარქთან

**უკვე ტრადიციად იქცა ახალი წლის დადგომამდე საქართველოს სულიერ მოძღვართან ფაზისის საერო აკადემიის წევრთა შეხვედრა. იგი ემთხვევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღეს – 25 დეკემბერს, რომელიც, ცხადია, ძალიან გადატვირთულია საპატრიარქოსთვის. და რომ არა ფაზისის აკადემიის თანაპრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას**



შეხვედრის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

**დიდი ავტორიტეტი და მონდომება, შეხვედრა გაჭირდებოდა. ამჯერადაც, ჩვენი დელეგაცია ბელორუსიის უმაღლესი სასულიერო პირების ვიზიტამდე მიიღეს.**

ღვთიური ყალმით მოხატულ ულამაზეს დარბაზში შეგვაქვს მართლაც დიდებული საჩუქარი – მოზაიკური სურათი – პატრიარქის პორტრეტი (ავტორი – მხატვარი გურამ გაბუნია).

ილეზა დარბაზის კარი არავითარი პომპეზურობა, მხოლოდ საოცარი უბრალოება და სათნოება. გვესალმება ილია II-ალმაშენებელი და ჩვენც ქედს ვიხრით მისი დიდების წინაშე. საკუთარ პორტრეტთან შეჩერდა, მაღლმოსილი ღიმილი მოწონებად გვენიშნა. ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და უმაღლეს საეკლესიო პირებს საჩუქრად ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მესამე ტომი გადასცა, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების 32-ე წლისთავს ეძღვნება. ფაზისელთა სახელით მან მისალოცი სიტყვა წარმოთქვა:

**– თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, 32 წლის წინათ თქვენ ჩაიბარეთ იავარქმნილი დედაეკლესია, ტიტანური შრომის შემდეგ უკვე ქრისტეს ნათელით გაბრწყინებული, რაც იმის საწინდარია, რომ მალე სრულიად საქართველო გაერთიანდება და გაბრწყინდება. თქვენ 32 წელია ატარებთ მძიმე ჯვარს ერის სულიერი მოძღვრისა, რისთვისაც სიცოცხლეშივე შეგამკო ერმა ილია II ალმაშენებლის ეპითეტით. ფაზისის აკადემიამ 16 წლის წინათ მიიღო თქვენი ლოცვა-კურთხევა. მაშინ ბრძანეთ, იმედი მაქვს, იგი ქაღალდზე არ დარჩებაო. ვფიქრობ, იმედი არ გაგიცრუეთ. ჩვენ ვაკეთებთ ეროვნულ საქმეს, ვიკვლევთ საქართველოს ისტორიას, კოლხურ ცივილიზაციას, აკადემიის სამეცნიერო მასალები იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, რათა ახალმა თაობამ იცოდეს, საიდან მოდის, სად გაწყდა კავშირი წარსულთან... ქრისტიანობა, რწმენა და ქართველობა განუყოფელია. ფაზისელების სახელით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, დიდხანს იცოცხლეთ საქართველოსა და მისი დედაეკლესიის საკეთილდღეოდ. ერთადერთი ძალა სულიერებაა, რომელიც საქართველოს გააერთიანებს და გადაარჩენს. ეს ღვთიური გზა ახლა თქვენზე გადის და ერიც მოგყვებათ...**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა სტუმრები, მადლობა გადაუხადა ფაზისის საერო აკადემიას ეროვნული საქმის კეთებისთვის და აღნიშნა, რომ ჟურნალ „ცოტნეიდელის“ გამოცემით კიდევ ერთი მამულიშვილური საქმე კეთდება. **ვლოცავ ამ საქმის თაოსნებსა და მხარდამჭერთ, – ბრძანა მისმა უწმინდესობამ, – და მჯერა, რომ ისინი კვლავაც ბევრს გააკეთებენ ამ მიმართულებით, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ იმას, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს... მამული, ენა, სარწმუნოება, ინტელექტი, კულტურა... ამ უმძიმეს პერიოდში უნდა გავარჩიოთ, რა არის ჩვენთვის მისაღები, ქვეყნისთვის, ერისთვის სასარგებლო.**

პატრიარქმა შეგვახსენა უფლის მცნება – „პატივი ეცი დედასა და მამასა შენთა“ – **ისინი ჩვენი ცოცხალი ღმერთები არიან! მივაგებთ კი სათანადო პატივს? ყოველდღე უნდა მიხვიდე მშობელთან და ხელზე ეამბორო, ეს იგივე ღმერთთან ხლებაა. ბევრს არ ჰყავს მშობელი, მაგრამ სიკვდილი არ არსებობს. ისინი გარდაცვლილნი არიან, ისინი რჩებიან, ყველაფერს ხედავენ და ესმით, მათ როგორც ცოცხლებს ისე უნდა გაფრთხილება. მე ასე ვეპყრობი ჩემს მშობლებს და ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ძალას მმატებს. აქედან იწყება ადამიანური ურთიერთობები, ურთიერთპატივისცემა, ერთსულოვნება, რამაც უნდა გადაარჩინოს ქვეყანა...**

5-წუთიანი სიტყვა ისეთი ღრმაშინაარსიანი და ტევადია, თითქოს 5 ტომზე მეტი წაგვეკითხოს. მან ჩაგვაფიქრა, განგვაწყო და აგვამაღლა.

ჩვენი ცხოვრება რწმენის, ეროვნული ღირებულებების, ეროვნული ხასიათის, ტრადიციის გარეშე მკვდარია, რამეთუ იგი არ ეფუძნება მოყვასის სიყვარულს, ერის წარსულისადმი პატივისცემას. ასეთ დროს ადამიანებს შორის შიში და გაუცხოება ისადგურებს, თითქოს ყველაფერი გაუფასურებულია. სწორედ ამიტომ სჭირდება დღეს ქვეყანას ამ ფასეულობების წარმოჩენა. **როგორც ილია II ბრძანებს, „ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც ღვთის იმედი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს რწმენა, სიყვარული და სასოება“...**

ამაღლებული განწყობით დავტოვეთ საპატრიარქოს რეზიდენცია, ვიხედებით ირგვლივ – სიონი, სამება, პრეზიდენტის სასახლე – მჯერა, ღმერთი გააერთიანებს იმქვეყნიურსა და ამქვეყნიურს, **„ღმერთმა ინებოს, რომ ერთსულოვნება მოგვცეს უფალმა, წმინდა სამებამ, მხოლოდ ერთსულოვნებაა ჩვენი გადამრჩენი“, –** ყურში ჩამესმის პატრიარქის სიტყვები და საგზლად მოგვყვება მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა და ღვთიური მადლი.

**არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ, რაც შეიძლება სრულად, ძვირფასო მკითხველებო, ის დიდებული და ამაღლებული გრძნობა, რაც ამ შეხვედრის მონაწილეებს დაგვეუფლა... ფაზისის საერო აკადემია, მისი ყველა წევრი გულითადად გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, დამდეგ შობა-ახალ წელს, გფარავდეთ ღვთის კურთხევა და მადლი.**

**ზურაბ აბრალავა,**
„სრ“ საკ. კორ.
მურად ალაშვილის ფოტო.

სხვა გაზეთიდან

# გროშია ყველა ჩვენგანის ფასი!

### ტერაქტების, კატასტროფების, ავარიების მსხვერპლთათვის გადასახადი თანხები შემცირებულია კანონის სახელით

**ამბობენ, რომ საიანო-შუშენსკოე ჰიდროელექტროსადგურზე დაღუპული ზოგიერთი ოჯახი მიიღებს 10 მილიონამდე რუბლის კომპენსაციას. დუბროვკაზე, თეატრალურ ცენტრში ამ 7 წლის წინათ მომხდარი ტერაქტის მსხვერპლთა ჭირისუფლებს ასეთი თანხები არც დასიზმრებიათ. ბესლანშიც კი მათ, ვინც გადაიტანა სამდღიანი ჯოჯოხეთი ტერორისტების მიერ დაპყრობილ სკოლაში, მიიღეს გაცილებით უფრო მცირე თანხები. ვინ აფასებს, თუ რა ღირს ჩვენი სიცოცხლე ამა თუ იმ შემთხვევაში?**

### სხვადასხვა ღირებულების ავიაკატასტროფები

**როგორ იყო ადრე?**

2008 წლამდე ავიაკატასტროფაში დაღუპულისთვის ფედერალური ბიუჯეტიდან იხდიდნენ 100 000 რუბლს, ადგილობრივი ხელისუფლება ანაზღაურებდა დაკრძალვის ხარჯებს, გადარჩენილებს აძლევდნენ 25-დან 50 ათას რუბლამდე. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლოების მეშვეობით იხდიდნენ 50-დან 200 ათას დოლარამდე. უკრაინამ ტუ-154-ის თითოეული დაღუპულისთვის გადაიხადა 200 ათასი დოლარი (თვითმფრინავი ჩამოაგდო უკრაინულმა რაკეტამ შავი ზღვის თავზე).

**როგორაა ახლა?**

2008 წელს მიღებული იქნა კანონი, რომლის თანახმადაც ეს კომპენსაცია შეადგენს 2 მილიონ რუბლზე ოდნავ მეტს, თანაც მგზავრები იჯავშნებიან ავიაკომპანიების ხარჯზე.

### მატარებლების მგზავრები „გაძვირდებიან“

**როგორაა ახლა?**

საავტომობილო ავარიებში დაღუპულთა სიცოცხლე შეფასებულია 160 ათასი რუბლით, წყლის ტრანსპორტზე – 100 ათასით, საქალაქთაშორისო სარკინიგზო ტრანსპორტზე – დაახლოებით 12 ათასი რუბლით.

**რა იქნება?**

ამას წინათ რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ გამოაქვეყნა კანონპროექტის ტექსტი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ტრანსპორტის მგზავრის დაღუპვის შემთხვევაში გადამყვანმა უნდა გადაუხადოს მის ნათესავებს 2 მილიონ 25 ათასი რუბლი, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისთვის გათვალისწინებულია კომპენსაცია 2 მილიონის ოდენობით, ქონების დაზიანებისთვის – 23 ათასი რუბლი.

### ტერორისტები გადაგიხდიან?

**როგორ იყო ადრე?**

ხელისუფლება 100 ათას რუბლს იხდიდა დუბროვკაზე თეატრალურ ცენტრში დაღუპულისთვის, ამას გარდა ნაზღაურდებოდა დაკრძალვის ხარჯები. სასამართლომ წამოაყენა წინადადება, თანხები მორალური კომპენსაციისთვის მოეთხოვათ ტერორისტებისგან. ბესლანში დაახლოებით 1,5 მილიონი რუბლი გადაიხადეს თითოეულ დაღუპულზე, 700 ათასი –მძიმედ დაჭრილებზე, 500 და 350 ათასი რუბლი – საშუალოდ და მსუბუქად დაჭრილებისთვის შესაბამისად. სპეცანგარიშზე ფული მოდიოდა ფედერალური ბიუჯეტიდან, დახმარება რეგიონებიდან, ნებაყოფლობითი შემოწირულობანი.

**ახლა როგორაა?**

„ტერორიზმის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ“ კანონის შესაბამისად, დაღუპულთა სიცოცხლე ტერორისტული აქტის დროს შეფასებულია 300 ათას რუბლად, 25 ათასია გათვალისწინებული დაკრძალვისთვის, დაზიანებისთვის – 100 ათასი და 50 ათასი რუბლი ხარისხის შესაბამისად. დანარჩენი გადარჩენილი მძევლები მიიღებენ 30 ათას რუბლს.

### ჩამოვარდნა ამერიკაში სჯობს?

ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტის სამინისტრო გვთავაზობს, ადამიანის სიცოცხლე შევაფასოთ 3 მილიონ დოლარად. ეს თანხა იდება ავიაკომპანიების ბიუჯეტში. რაც შეეხება ტერორისტულ აქტებს, იმავე ამერიკაში 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მონაწილეობით შეიქმნა ფედერალური ფონდი. სამათასზე მეტი დაზარალებულიდან დაახლოებით 700 ოჯახმა ამ ფონდის მეშვეობით მიიღო 500 ათასიდან 3 მილიონ დოლარამდე. ისრაელში მოქმედებს ეროვნული დაზღვევის ინსტიტუტი, მასში შენატანები აუცილებელი წესით გადაირიცხება ხელფასებიდან და უმუშევრობის შემწეობიდან.

### სხვათა შორის...

„ჩვენს ქვეყანაში არაა კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, შეგვეფასებინა ადამიანის სიცოცხლე, – მიაჩნია ადვოკატ იგორ ტრუნოვს, რომელიც იცავდა ავიაკატასტროფებისა და ტერორისტული აქტების მსხვერპლებს. რუსეთის კანონმდებლობაში ზუსტად არის განსაზღვრული მხოლოდ მოსამართლეთა და სამხედრო მოსამსახურებათა სიცოცხლის ღირებულება – 180 და 120 ყოველთვიური ხელფასი შესაბამისად. კანონი ამკვიდრებს მხოლოდ კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. მაგრამ პრაქტიკულად თურმე ჩვენთან სიცოცხლე არაფერი არ ღირს“.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# რეკლამააა
# 5-30

# რეკლამააა
# 5-30

კვალი დროში

# დიდი მამის ღირსეული შვილი



80 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოში ქირურგიული სკოლის უბრწყინვალეს წარმომადგენელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ ფიფიას.

ვახტანგ ფიფია დაიბადა 1929 წლის 29 დეკემბერს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ოჯახში, რომლის პროფესიულ დინასტიას დღესაც წარმატებით აგრძელებს ბატონი ვახტანგის შვილი, პროფესორი – გიორგი ფიფია.

ბ-ნმა ვახტანგ ფიფიამ დიდი წვლილი შეიტანა ქირურგიის ინსტიტუტის თანამედროვე კლინიკურ ცენტრად ჩამოყალიბებაში. მან, როგორც დირექტორმა სახელოვანი გზა განვლო და დიდი როლი შეასრულა მრავალპროფილიანი თანამედროვე სპეციალიზებული სამეცნიერო კვლევითი და კლინიკური ცენტრის ჩამოყალიბებაში, რომელიც დღესაც სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ბ-ნ ვახტანგის სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო გულმკერდის ქირურგიის აღიარებული ლიდერის აკადემიკოს ა. ბაკულევის ხელმძღვანელობით. ქალაქ მოსკოვში მის მიერ შექმნილ გულის რითმის რთულ დარღვევათა ქირურგიულ ცენტრში ჩატარდა ელექტროკარდიოსტიმულატორის 1500-ზე მეტი ჩანერგვა კარგი შედეგით. გულის რითმის დარღვევათა ქირურგიული მკურნალობის პრობლემებთან დაკავშირებით გამოცდილების გასაზიარებლად ბ-ნი ვახტანგი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მონაწილეობდა აგრეთვე ამ პროფილით ყოფილ სსრკ და უნგრეთის ერთობლივ სიმპოზიუმებში.

ბ-ნმა ვახტანგმა, ერთ-ერთმა პირველმა გულის განივი ბლოკადის დროს დაადგინა ფიქსირებული რითმით ელექტროკარდიოსტიმულაციის არასრულყოფა და დაასაბუთა ბიომართვით სტიმულაციის უპირატესობა.

ბ-ნი ვახტანგის ხელმძღვანელობით დაცულია 12 დისერტაცია (3 – სადოქტორო და 9 – საკანდიდატო). მის მიერ აღზრდილი მეცნიერი მუშაკები და პრაქტიკოსი ექიმები დღესაც აგრძელებენ მოღვაწეობას.

პროფესორ ვ. ფიფიას მეცნიერულ ინტერესთა სპექტრი სრულადაა ასახული 170 გამოქვეყნებულ შრომასა და 8 მონოგრაფიაში, მათი უმეტესობა დღესაც სამაგიდო წიგნია კარდიოქირურგებისა და პრაქტიკოსი ექიმებისათვის.

ბ-ნი ვახტანგ ფიფია იყო უანგარო, ულალატო ადამიანი, რომელიც თავისი სიკეთით, სილამაზით სიცოცხლეს უხანგრძლივებდა როგორც მადლიერ პაციენტებს, აგრეთვე გვერდით მყოფთ. მან მთელი შეგნებული ცხოვრება მოკრძალებით გაიარა და დატოვა უდიდესი კვალი, უზარმაზარი სიყვარული...

ბ-ნ ვახტანგ ფიფიას – შესანიშნავი მეგობრისა და საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი ქართველი ქირურგის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში, როგორც დიდი მამულიშვილის პიროვნებისა და პატრიოტის.

**ბაადურ მოსიძე,**
ქირურგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი.

# გულის სიცოცხლეს სდარაჯობდა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ფიფია 2009 წლის 29 დეკემბერს 80 წლის შესრულდებოდა.

იგი 170 მეცნიერული შრომისა და 8 მონოგრაფიის ავტორია.

ვახტანგ ფიფია საქართველოში გულმკერდის ქირურგიის ერთ-ერთი ახალი მიმართულების სკოლის შემქმნელია.

პროფესორ ვ. ფიფიას სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია გულის რიტმის დარღვევათა შესწავლისა და ქირურგიული მკურნალობის ფუნდამენტურ პრობლემებთან. ექსპერიმენტალურად დაამუშავა რა აღნიშნული პრობლემა, მან ჩვენი რესპუბლიკის პრაქტიკულ მედიცინაში ფართოდ დანერგა ელექტროკარდიოსტიმულაცია, როგორც გულის რიტმის სხვადასხვა დარღვევების ქირურგიული მკურნალობის ეფექტური მეთოდი. მის მიერ 1984 წ შექმნილი გულის რიტმის რთულ დარღვევათა ქირურგიული მკურნალობის ცენტრში ჩატარებულია 1500-ზე მეტი ელექტროკარდიოსტიმულატორის ჩანერგვა კარგი შედეგით. გულის რიტმის დარღვევათა ქირურგიული მკურნალობის პრობლემებთან დაკავშირებით გამოცდილების გასაზიარებლად ვ. ფიფია სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საფრანგეთში და აშშ-ში. ელექტროკარდიოსტიმულატორის საკითხებისადმი პროფ. ვ. ფიფიას 70-მდე სამეცნიერეო ნაშრომი აქვს მიძღვნილი. გულის რიტმის დარღვევების ქირურგიული მკურნალობის დროს მან თავის თანამშრომლებთან ერთად შეისწავლა ჰემოდინამიკა გულში, აწარმოა გულის ელექტროსტიმულაციის სხვადასხვა მეთოდების შედარებითი შეფასება.

ვ. ფიფიამ ერთ-ერთმა პირველმა გულის განივი ბლოკადის დროს დაადგინა ფიქსირებული რიტმით ელექროკარდიოსტიმულაციის არასრულყოფილება და მეცნიერულად დაასაბუთა ბიომართვითი სტიმულაციის უპირატესობა. ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფია მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

პროფ. ვ. ფიფიას მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მიმართულებას გულის მანკების ექსპერიმენტული მოდელების შექმნა წარმოადგენდა. ამ გამოკვლევების მეცნიერულმა განზოგადოებამ ასახვა ნახა მონოგრაფიაში „ ფილტვის არტერიის იზოლირებული სტენოზი და მისი ქირურგიული მკურნალობა“, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ამ მანკის შესწავლის პირველ სრულ ცდას წარმოადგენს. პროფ. ვ ფიფიამ საქართველოში პირველმა გულის სხვადასხვა მანკების დროს წარმატებით ჩაატარა ოპერაციები ხელოვნური სისხლის მიმოქცევის გამოყენებით. დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ვ. ფიფიას მონოგრაფიას, რომელიც ასახავს პერიკარდიტების ახალი ქირურგიული მეთოდებით მკურნალობის ასპექტებს. პროფ. ვ. ფიფიას ხელმძღვანელობით ექსპერიმენტში დამუშავებული იყო ტრაქეო-ბრონქული ხისა და ფილტვის რეკონსტრუქციული ოპერაციები, რის შედეგადაც ტრაქეისა და ბრონქების პლასტიკის მეცნიერულად დასაბუთებული ორიგინალური მეთოდიკა იქნა მოწოდებული. დიდია ვ. ფიფიას დამსახურება ჰეპატოპანკეატოდუოდენური ზონის პათოლოგიის დიაგნოსტიკის პრობლემების შესწავლის საქმეში.

პროფ. ვ ფიფიას ხელაძღვანელობით დაცულია 12 დისერტაცია ( 3 სადოქტორო და 9 საკანდიდატო). პროფ. ვ. ფიფია იყო ევროპის კარდიოქირურგთა ასოციაციის წევრი.

პროფესორ ვ. ფიფიას მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა ნათელ მაგალითს წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის.

**ნიკოლოზ ყიფშიძე,**
აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

კურთხევა

# რუსთაველი ჩვენი ლიტერატურული სამშობლოა

**„ჩვენ და ვეფხისტყაოსანი“ – ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამ პროექტის ხუთტომეულის წარდგინება გაიმართა, რომელიც „ჯეო ექს ფაბლიშინგმა“ და „სეზანმა“ გამოსცა. პროექტში 200-ზე მეტი ავტორი იყო ჩართული. გამოცემის მთავარი რედაქტორია ლევან ღვინჯილია, დიზაინერი – გიორგი ბოხუა. ტექსტი დაიბეჭდა ჯემალ კუპრავას ორიგინალური შრიფტით.**

ხუთტომეულში შედის: შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო რედაქციით (თავმჯდომარე – თამაზ გამყრელიძე). გამოცემას თან ერთვის ლექსიკონი, რომლის საბოლოო რედაქცია ეკუთვნის გურამ კარტოზიას. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი შეიცავს 1673 სტროფს. აქედან 10 სტროფი კომისიამ რუსთაველურად მიიჩნია და პირველად შეიტანა ამ გამოცემაში. „მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის შესახებ“ – ენციკლოპედიური კრებული პოემისა და მისი ავტორის შესახებ; „ვეფხისტყაოსანს“ მოგითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია – პოემის პროზაული ვერსია, რომლის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ არაბული. ტექსტს ერთვის მხატვარ მამია მალაზონიას ილუსტრაციები.




მეოთხე წიგნში „ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი – ეს არის პოემის უძველესი ხელნაწერებისა და მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნილი 52 ფოლიანტი, რომელსაც ახლავს ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ესეი ქართულ და ინგლისურ ენებზე; ხოლო მეხუთე წიგნში მოთავსებულია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია – 1712-2008 წლების განმავლობაში ქართულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილი პოემის 300-ზე მეტი გამოცემის ჩამონათვალი.

რუსთაველის მკვლევარნი ამ გამოცემას 1937 წლიდან ელოდნენ, მაგრამ მხოლოდ თანამედროვე პოლიგრაფიულმა მიღწევებმა და მისი ორი ავტორის – ლევან თაქთაქიშვილისა და მამუკა ჩხეიძის მონდომებამ შესაძლებელი გახადა ამ გამოცემის დაბადება. „ვეფხისტყაოსნის“ ხუთტომეული ლიტერატურულ არტ-კაფე „ქარავანში“ იყიდება.

„ეს საოჯახო წიგნებია, რომლებიც ნებისმიერ ქართულენოვან ოჯახში უნდა იყოს... ქორწილის, ძეობის, ახალსახლობის საუკეთესო საჩუქარია. წიგნები პოლიგრაფიის უმაღლეს ნიმუშს წარმოადგენს“, – გვითხრა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა მანანა კარტოზიამ.

პროექტის ხელმძღვანელის შავლეგ შავერდაშვილის თქმით, წიგნები სამწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა. „პატრიარქმა დალოცა ჩვენი პროექტი და თითქოს ჩვენი გულისნადები გაგვიმხილა – ჩვენს ტრადიციულ ეროვნულ ღირებულებებზე გაამახვილა ყურადღება. პროექტის მიზანიც ესაა – გლობალიზაციის პირობებში არ დავივიწყოთ ტრადიციები“.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ლია სტურუა, ვინც ამ დღეს გაცნობიერებული და გონიერი სიხარული უწოდა. „რუსთაველი თავისთავად უკვე ზეიმია. ყველა ქართველი პოეტი რუსთველიდან მოდის. იგი ჩვენი ლიტერატურული სამშობლოა“, – აღნიშნა მან.

– ხუთტომეული სამზითვო წიგნია, – ასე დაიწყო გამოსვლა ლევან ღვინჯილიამ, – ეს პატრიარქმაც დაგვიდასტურა ჩვენი საგამომცემლო ჯგუფის წევრებთან შეხვედრისას. ოღონდ დაამატა: ქართველმა ქალმა „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად მზითვად ბიბლიაც უნდა წაიღოსო. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერილების კრებული იხსნება სწორედ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 1966 წლის დროინდელი წერილით: „შოთა რუსთაველი და მისი საღვთისმეტყველო შეხედულებანი“ (ქვეყნდება პირველად).

ეს არის ჩვენი რწმენა, ქართველობა, ტოლერანტიზმი, ამ პოემამ ქართველი კაცის ფენომენი შექმნა, – აღნიშნეს გამომსვლელებმა: გია მურღულიამ, პარმენ მარგველაშვილმა, გუჩა კვარაცხელიამ, ნოდარ ნათაძემ, მაყვალა გონაშვილმა, ქეთი მატაბელმა...

როსტომ ჩხეიძემ ფრიდონის სიტყვები გაიხსენა: „ძალი შემწევს ქადილისა“. ხუთტომეულის გამომცემლებს თამამად შეუძლიათ გაიმეორონ ეს სიტყვები. დაახლოებით მსგავსი პროექტი თავის დროზე ჩაფიქრებული ჰქონდა პავლე ინგოროყვას. მან დაადგინა შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო თარიღი – 1966 წელი. იდეურად და პრაქტიკულად მოამზადა კიდეც ეს იუბილე, მაგრამ ჩაუშალეს განზრახვა და პროექტიც თავზე გადაახიესო, – თქვა როსტომ ჩხეიძემ.

წარდგინებაზე ხუთტომეული საჩუქრად გადაეცათ: ბესიკ ხარანაულს, ანზორ ერქომაიშვილს, თემურ მეტრეველის მეუღლეს – ლია მეტრეველს. ლია მეტრეველს მიულოცეს შვილიშვილის მერი-ნიკოლ მეტრეველის დაბადება და დაუვიწყარი საჩუქარიც უსახსოვრეს... რუსუდან კერვალიშვილმა შეიძინა ხუთტომეული და აღნიშნა, შვილიშვილს მზითვად გავატანო.

წლის მიწურულს, მართლაც, შესანიშნავი საჩუქარი მოგვიმზადეს ამ პროექტის ავტორებმა. ვეფხის წელს ახალი „ვეფხისტყაოსნით“ ვხვდებით. სიყვარული, მეგობრობა, რაინდობა და ერთგულება დაჰბედებოდეთ ჩვენს ახალგაზრდობას – ასეთი იყო საღამოს სულისკვეთება.

**თამარ შაიშმელაშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ აიღო დიდების მემორიალი

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისთვის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დღედ მიიჩნევს 19 დეკემბერს – ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების დღეს, რომლის დროსაც დაიღუპა 8 წლის გოგონა თავის დედასთან ერთად.**

– „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღე ჩემთვის“, – თქვა მან პარასკევს გვიან ღამით ტელეკომპანია „რუსთავი-2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ტრაგედია ქუთაისში „მოხდა ადამიანური უგუნურობის, არაკომპეტენტურობისა და დაუდევრობის გამო“. „ყველამ უნდა აგოს ამისთვის პასუხი. იმედი მაქვს, მათ ბოლომდე განსჯიან და მე ვიძლევი გარანტიას, რომ, ვიდრე პრეზიდენტი ვარ, მათ არ შევიწყალებ, ვინაიდან ყველაფერს აქვს საზღვარი“, – განაცხადა მან.



საკითხი შეეხო აგრეთვე მემორიალის აღების პოლიტიკურ მხარესაც. სააკაშვილმა განაცხადა, რომ შეეცადნენ ამ საკითხის პოლიტიზირებას. „რუსეთი ეძებს ნებისმიერ მიზეზს ჩვენთან დაძაბულობისთვის, მეორე მსოფლიო ომში პროცენტული გამოხატულებით უფრო მეტი ქართველი დაიღუპა, ვიდრე ნებისმიერი საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. გერმანელები ვერ შემოვიდნენ საქართველოში იმიტომ, რომ მათ ვერ გაარღვიეს ფრონტი ქერჩში. ქერჩში მთავარი დამცველი იყო ქართული კორპუსი. ჩემი დიდი ბებიის ძმა იბრძოდა ამ კორპუსში, და იგი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან მეომართა შორის, ვინც ცოცხალი გადარჩა. ჩვენი მებრძოლების 90 პროცენტი ქერჩის მიწაზე დაეცა“, – ამბობს სააკაშვილი.

მან აგრეთვე გამოთქვა გაოცება იმ ფაქტის გამო, რომ რუსეთმა მწვავე რეაგირება მოახდინა ქუთაისში დიდების მემორიალის ნგრევაზე, მაშინ, როდესაც არავითარი რეაგირება არ მოუხდენია აფხაზეთში იმ დასახლებული პუნქტის სახელის გამოცვლაზე, რომელიც მას ეწოდა მეორე მსოფლიო ომში ერთადერთი ქართველი გენერლის ლესელიძის პატივსაცემად, რომელიც სათავეში ედგა ქერჩის კორპუსს. „რაღაც არ მახსოვს, რომ მოსკოვში ვინმეს გაეპროტესტებინოს ამ პუნქტის სახელის შეცვლა“, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან აგრეთვე შეგვახსენა, რომ ქართველი მეომრები წარმატებით იბრძოდნენ სხვადასხვა ომებში. „ჩვენები იბრძოდნენ ყველგან და, სამწუხაროდ, ხშირად არა თავისი ქვეყნისთვის“, – განაცხადა სააკაშვილმა.

„ისინი (რუსეთი – რედაქტორის შენიშვნაძ არიან ჩვენი ქვეყნის ოკუპანტები და გვეუბნებიან, მოეშვით საბჭოთა არმიის დიდების ძეგლს, არმიისა, რომლის სამართალმემკვიდრეც გახლავთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ოკუპანტები. მეტი დაცინვა რა უნდა იყოს?“ – სვამს შეკითხვას საქართველოს პრეზიდენტი. მისი სიტყვებით, ერთადერთი, რაც საქართველოს სურს, – ეს არის, რომ მას თავი დაანებონ.

სხვათა შორის, მან ისაუბრა აგრეთვე, რომ საქართველოში მორბიან არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეები, არამედ აფხაზები და ოსები. ერთნიც და მეორენიც, მისი სიტყვებით აცხადებენ, რომ არ სურთ ამ ფაქტის აფიშირება. „ეს ხომ რაღაცაზე მეტყველებს“, – მიაჩნია სააკაშვილს.

РОСБАЛТ

# მიპარვით მომავალი ვეფხვი, ჩასაფრებული დათვი

**გასული წლის განმავლობაში ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის უკეთესობისკენ არ შეცვლილა. თბილისში ვერ გამოიტანეს სწორი დასკვნები აგვისტოს ომიდან. იმის მცდელობის მაგივრად, რომ მოაგვაროს თუნდაც დიპლომატიური ურთიერთობა, სააკაშვილი არ ღალატობს თავის მებრძოლ რიტორიკას და აკეთებს უცნაურ განცხადებებს, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, რუსეთის გაოცებას იწვევს. ასეთ პოლიტიკოსთან საუბარს რუსეთის ხელისუფლება ერიდება.**

წელს საქართველოს მოუწია „ჩაეყლაპა“ აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნები, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება „ვულგარული უგო ჩავესისა“ და პატარა სახელმწიფო ნაურუს მიერ, რომელიც, სააკაშვილის მტკიცებით, „ამჟამად იხრჩობა“.

მაგრამ თბილისის მთავარი მარცხი არის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „ომი საქართველოსა და რუსეთს შორის: ერთი წლის შემდეგ“, – რომელშიც ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთში ომი საქართველომ დაიწყო. ამავე დროს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ „დასაჯა“ რუსეთიც, როდესაც აღნიშნა პროვოკაციების შესახებ მისი მხრიდან.

ორივე მხარემ თავისი დასკვნები გააკეთა ამ ისტორიიდან. თბილისში გადაწყვიტეს, რომ რეზოლუციამ დაადასტურა საპარლამენტო ასამბლეის მიდრეკილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, მისი საზღვრების ერთიანობის პრინციპისადმი. რუსეთი კი დარწმუნდა თავის სიმართლეში, რაც დადასტურდა ამჯერად დოკუმენტურადაც.

რაც შეეხება ურთიერთობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, აქაც ვერ მიაღწიეს ქართველმა პოლიტიკოსებმა წარმატებას. დეკემბრის დასაწყისში გალში გაიმართა ამ წელიწადში უკანასკნელი, მეათე ქართულ-აფხაზური შეხვედრა ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც დამთავრდა უშედეგოდ, როგორც პრინციპულად, ყველა დანარჩენი.

შეგახსენებთ, რომ შეთანხმება ასეთი შეხვედრების გამართვის შესახებ მოხდა ჟენევაში კავკასიაში უშიშროების შესახებ კონსულტაციების ერთ-ერთი რაუნდის დროს. ამ შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობენ სოხუმისა და თბილისის წარმომადგენლები, აფხაზეთის მთავრობა დევნილობაში, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო. ანალოგიური შეხვედრები დროდადრო იმართება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მონაწილეობითაც.

შედეგად საქართველომ გადაწყვიტა შეიმუშაოს სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თბილისის სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ექსპერტის თორნიკე შარაშენიძის სიტყვებით, დოკუმენტის საბოლოო მიზანია „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მსუბუქი ძალით, ომისა და ძალის გარეშე“. ამიტომ, განმარტა მან, თბილისი ძირითად აქცენტს აკეთებს ეკონომიკური ურთიერთობის წახალისებასა და სტიმულირებაზე და, საერთოდ, იმ ადამიანების ურთიერთობაზე, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიაზე. მიუხედავად ასეთი პაციფისტური განცხადებისა, საქართველო ძალიან აქტიურად იარაღდება. რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის მონაცემებით, საქართველოს სამხედრო პოტენციალი ამჟამად გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე აგვისტოს კონფლიქტის წინ იყო. თანაც, როგორც რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, ქვეყანას აქტიურად აიარაღებენ საზღვარგარეთიდან. საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის სრული აღდგენა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაადასტურა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამაც.

„როსბალტის“ ფორუმისტების გამოკითხვის თანახმად, ის, რომ საქართველო ვერ ბედავს თავს დაესხას ამჟამად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, დაკავშირებულია დასავლეთის არასაკმარის მხარდაჭერასთან. გამოკითხულთა 49 პროცენტი ასე მიიჩნევს (3207 კაციძ. კიდევ 36 პროცენტი საუბრობს იმის შესახებ, რომ თბილისს ეშინია რუსეთის საპასუხო დარტყმის, 13 პროცენტი კი დარწმუნებულია, რომ საქართველო ძალებს იკრებს.

ამ დროს „მტერი“ უკვე მესამედ ლებულობს ექს-პრემიერ მინისტრს, ოპოზიციური პარტიის „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერს ზურაბ ნოღაიდელს. ოპოზიციონერმა გადაწყვიტა ხელი მოჰკიდოს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, რისთვისაც ურთიერთობა დაამყარა „ედინაია როსიის“ წარმომადგენლებთან და შეხვდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს. ნოღაიდელი იმყოფებოდა აგრეთვე ცხინვალშიც, სთხოვა კოკოითს ნორჩი ქართველი მეამბოხეების შესახებ, რომლებიც ციხეში ჰყავდათ.

თავად ის ფაქტი, რომ ოპოზიციონერი შეხვდა პუტინს, არ შეიძლება არ გამხდარიყო მრავალი გესლიანი კომენტარების მიზეზი საქართველოს ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან. ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ მოსკოვი ამაოდ ჩადის ფსონს თავის ქვეყანაში არაპოპულარულ პოლიტიკოსთან. მაგრამ საქართველოს, მიაჩნია სააკაშვილს, „ყოველთვის ჰყავდა გამცემლები“. „ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ დონეზე დაეშვა ეს კაცი“, – გაოცებული კითხულობს იგი.

როგორც ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მის პარტიას განზრახული აქვს გააფორმოს შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ. „დაახლოებით 2-3 თვის შემდეგ გავაფორმებთ შეთანხმებას, შევთავაზებთ პარტიათა შორის პარტნიორობას, რათა მომავალში აღვადგინოთ ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის“, – თქვა მან.

სხვა საკითხებთან ერთად იგი მოსკოვში განიხილავდა საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი რეგულარული ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხსაც. მაგრამ ექსპრემიერის ინფორმაციით, „საჰაერო მიმოსვლის შესახებ საუბრები პრაქტიკულად უშედეგოდ დამთავრდა და განმსაზღვრელი ფაქტორი ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, გახდა 19 დეკემბერი – ქუთაისში დიდების მემორიალის დანგრევის დღე“.

ძეგლის დანგრევა ყველაზე სამწუხარო შედეგია შარშანდელი წლისა, უფრო მეტიც, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის უნიჭო ნგრევის შედეგად დაიღუპა ქალი და გოგონა, სააკაშვილს კი წესიერად იმაზე პასუხის გაცემაც არ შეუძლია, თუ რატომ გააკეთა მან ეს.

გასული წელი სააკაშვილს მიაჩნია „ყველაზე მძიმე წლად საქართველოს უახლეს ისტორიაში“. „ქვეყანას ერთდროულად თავს დაატყდა უამრავი უბედურება: ომი, მისშემდგომი ოკუპაცია, მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, მათ შორის ეს რეგიონიც და მრავალთვიანი საშინაო დესტაბილიზაცია“, – აღნიშნა მან.

მისი აზრით, საკმარისია თუნდაც ერთი აღიშნული ფაქტორიც, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს თავად სახელმწიფოს არსებობაც. „მაგრამ ჩვენ გავუძლით ერთსაც, მეორესაც და მესამესაც“, – თქვა მან. „საქართველო, – მიაჩნია პრეზიდენტს, – არა მხოლოდ გადარჩა და გაუძლო, არამედ დადგა ფეხზეც მტრის ჯინაზე, ჩვენი მეგობრების სასიხარულოდ“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველომ გაუძლო ყოველივე ამას არა იმდენად მთავრობის ძალისხმევის შედეგად, რამდენადაც თავად „საქართველოს განსაკუთრებით მრავალეროვნულმა, მრავალეთნიკურმა საზოგადოებამ და ქართველმა ხალხმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ 2010 წელი ვეფხვის წელიწადია და იგი უნდა გახდეს ძალის მოკრების წლად, კუნთების დაძაბვისა და გადამწყვეტი ნახტომისთვის მზადების წლად. „როგორი ნადირობაც არ უნდა გამოცხადდეს ამ ვეფხვზე, ვეფხვი მონადირეზე გონიერი აღმოჩნდება, ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ მონადირეს. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვიცი, რომ ცხინვალი ვერ გაქვრება როკის გვირაბში, აფხაზეთში კი ვერ ჩაასახლებენ ისეთ მოდგმას, რომელიც დაამარცხებს კოლხეთის ძველ მიწას და ცივილიზაციას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

**ირინა სმირნოვა**

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ირანში უწესრიგობის დროს უკვე დაიღუპა 15 კაცი, ამტკიცებს ოპოზიცია**

ირანის ხელისუფლება უარყოფს, რომ პოლიციელებმა ცეცხლი გაუხსნეს დემონსტრანტებს. ამ დროს ოპოზიციის ლიდერის ძმისწული დაიღუპა ტყვიით. ეს უკვე მეორე ასეთი სერიოზული საპროტესტო აქციაა ირანში. ზაფხულში ოპოზიცია გამოვიდა ქუჩებში, რომელიც ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტის არჩევნები გაყალბებული იყო.

* * *

**რუსმა მეზღვაურებმა ვიეტნამში შიმშილობა გამოაცხადეს: მათ არ უხდიან ხელფასს, უკვე რვა თვეზე მეტია**

ორი თევზსაჭერი გემის მეზღვაურები დგანან ნავსადგურებში და მოითხოვენ თავიანთ სახლებში დაბრუნებას. ასეთსავე მდგომარეობაში არიან რუსეთის კიდევ ხუთი გემის მეზღვაურები.

* * *

**იტალიაში ზვავების შედეგად დაიღუპნენ ოთხი მაშველი, ალპინისტები და მოზარდი**



მაშველები დაიღუპნენ ორი იტალიელი ალპინისტის ძებნის დროს. მათგან ცალკე დაიღუპა 12 წლის გერმანელი. „მომბეზრდა იმის ყურება, თუ როგორ იღუპებიან ჩვენი მაშველები იმის გამო, რომ ზოგიერთი ადამიანი თხილამურებით დასეირნობს სათანადო მომზადების გარეშე“, – განაცხადა იტალიის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა.

* * *

**ბელარუსში ინტერნეტ-ცენზურას შემოიღებენ ახალი წლიდან**

ბრძანებულების – „ინტერნეტის გლობალური კომპიუტერული ქსელის ეროვნული სეგმენტის გამოყენების დაზუსტების ღონისძიებათა შესახებ“ – ძალაში შესვლის შემდეგ ბელარუსის ინტერნეტ რესურსების მუშაობას გააკონტროლებს მთავრობა, აგრეთვე სპეციალური სამსახური – პრეზიდენტთან არსებული ოპერატიულ-ანალიტიკური ცენტრი.

* * *

**ხორვატიაში პრეზიდენტის არჩევნებისთვის მეორე ტური გახდება საჭირო**

10 იანვარს მოქალაქეები აირჩევენ ერთ-ერთს – ოპოზიციური პარტიის კანდიდატ ივო იოსიპოვიჩსა და ზაგრების პოპულარულ მერს მილან ბანდიჩს შორის, რაც ქვეყანაში პოლიტიკური განწყობილების საერთო გამემარცხენეობაზე მეტყველებს. მმართველმა ხორვატულმა დემოკრატიულმა გაერთიანებამ მარცხი განიცადა არჩევნების პირველ ტურში



**წერილი ამერიკიდან**

***პირველად*** *ამერიკული რადიოს ისტორიაში, ზედიზედ ორჯერ, კვირას, გვიან საღამოს სამ-სამი საათის განმავლობაში მხოლოდ ქართული მუსიკა და ქართული სიტყვა ჟღერდა... ინგლისურთან ერთად, რასაკვირველია. დაიწყო „ასა ფართით" და ირაკლი ჩარკვიანისა და „რეაქტიული კლუბის" მოგონებით დასრულდა: პირდაპირ ეთერში პარიზიდან რადიოს სატელეფონო ჩართვით „რეაქტიული კლუბელი" პაატა ქურდაძეც მოვისმინეთ. თანაც – მხოლოდ ქართულად, ინგლისური სინქრონის გარეშე. ესეც პირველად ამერიკაში, როცა ღია ეთერში საუბარი „ახალ ამერიკასა" და „ბებერ ევროპას" შორის ოკეანის გადაღმა-გადმოღმა, თარჯიმნის გარეშე, მხოლოდ ქართულ ენაზე, მხოლოდ ქართველი მსმენელისთვის, „ქართველი ფრანგი" ემიგრანტის მოგონებებით, მხოლოდ ისეთ თემაზე წარიმართა, რომელიც მხოლოდ ქართველისთვისაა ნაცნობ-ახლობელი. ალბათ, უცნაური დამთხვევაა ის, რომ საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთში სწორედ პაატა ქურდაძემ „აალაპარაკა" პირველად ქართველები ქართულად, ოღონდ არა რადიოს ეთერში, არამედ – ფრანგულ ტელევიზიაში.*

*იმერული, აჭარული, მეგრული, ოსური, ყაზბეგური, „ჩარირამა", „იადო ნანა", „სისატურა", „არულალო", „განდაგანა", „გელიან", „ჩაკრულო", „ბასიანი", „შავლეგო", „ზედაშე", ნიაზ დიასამიძე და „33ა", „შინ", ქართული რეგგეი, გია ყანჩელი, ჰამლეტ გონაშვილი, ნინო ქათამაძე, სოფო ასლანიშვილი (პოსტპანკი)... უამრავი ხალხური, საცეკვაო, ქალაქური, თანამედროვე და არც ისე თანამედროვე მუსიკა, ქართული ფილმების „საუნდთრეკები" ამერიკულ FM 89,9-ზე (www.wkcr.org, anu King's Crown Radio – „სამეფო ამალის რადიო")... მსმენელს კი პირდაპირ ეთერში დარეკვა, თავისი აზრის გამოხატვა და მუსიკის „შეკვეთაც" შეეძლოთ... ჰოდა, მსმენელები, ბუნებრივია, ძირითადად ამერიკაში მცხოვრები ქართველები გახლდნენ. რადიოს სტუდიაში მსხდომი ქართველები კი თითქმის ყოველ მელოდიასა თუ სიმღერას ინგლისურად მოკლე ისტორიულ-ფოლკლორულ ანოტაციასა და ტექსტის შინაარის განმარტებას ურთავდნენ.*

*ქართული მუსიკის გაFM-ების ინიციატორები კი კოლუმბიის უნივერისტეტის ქართველი სტუდენტები გახლდნენ. უფრო კონკრეტულად კი – ამ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული და მოქმედი ორგანიზაცია „ქართველ სტუდენტთა ასოციაცია კოლუმბიის უნივერსიტეტში" (GeoSA), რომელიც 15 სტუდენტს აერთიანებს. თითქმის 75 წლის წინათ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ედვინ ამსთრონგის მიერ დაარსებული არაკომერციული, სტუდენტური რადიო FM 89,9 ამერიკის პირველი FM რადიოა. თუმცა იგი XX საუკუნის 30-იანებში ჯერ AM ტალღაზე არსებობდა და ძირითადად უნივერსიტეტის ლექციებს, ასევე სხვადასხვა სახის შოუებს, მათ შორის – კომედიურსაც, გადმოსცემდა. დღეს კი WKCR 24 საათის განმავლობაში ტრადიციულ და არატრადიციულ მუსიკას „ატრიალებს". აქ კლასიკას, ოპერასა და ჯაზს ყოველთვის მოუსმენთ.*

*WKCR რადიო 1939 წლის 18 ივლისს ნიუ-ჯერსის შტატში პირველი რადიოგადაცემის 122-მეტრიანი ანძის მემკვიდრეა. სამი წლით ადრე კი თავად უნივერსიტეტში „რადიო კლუბი" ამოქმედდა, რომლის მიზანი მაუწყებლობა კი არა, რადიოტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების შესწავლა გახლდათ. მოგვიანებით კი იგი საუნივერსიტეტო რადიოდ გარდაიქმნა. 1959 წელს ფილოსოფიის ფაკულტეტის შენობის სახურავიდან WKCR-ის პირველი FM რადიოსიგნალი გაიგზავნა, რომელიც მაშინ მხოლოდ საუნივერსიტეტო დასახლებას ფარავდა. რადიო არა მარტო საუნივერსიტეტო, არამედ ზოგადად პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურის, სპორტისა და სხვა აქტუალურ საკითხებს აშუქებდა. უნივერსიტეტის პროფესორ-სტუდენტების გარდა მისი სტუდიის სტუმრები გახლდნენ მართინ ლუთერ კინგი, ცნობილი კომენტატორი და ჟურნალ National Review-ს დამაარსებელი უილიამ ბაკლეი, სკანდალურად ცნობილი ბიზნესმენი ჯეიმს ჰოფა და სხვა უამრავი საინტერესო ადამიანი. შემდგომ წლებში რადიო ნელ-ნელა მუსიკალურ არხად ტრანსფორმირდა, რომლის სლოგანი ცნება და სიტყვა „ალტერნატივა" გახდა. ბლუზისა და ქანთრი – მუსიკის გარდა რადიო დიდ დროს ექსპერიმენტალურ მუსიკას უთმობდა, მათ შორის – კარჰეინც შტოკჰაუზენს, ჯონ ქეიჯს, ზინა პარკინსს, ჯონ ზორნს. 1985-დან ვიდრე 2001-ის 11 სექტემბრამდე რადიოს ანძა „ტყუპების" ჩრდილოეთ კოშკის სახურავზე იდგა და ამერიკის სამ შტატზე მაუწყებლობდა, თან 12 მლნ. მსმენელიც ჰყავდა. ტერაქტის შემდეგ რადიოს მაუწყებლობას პრობლემები შეექმნა, ხოლო ახალი ანტენა „თაიმს სქვერზე" მხოლოდ 2003 -ში დაიდგა. დღეს კი რადიოს თაყვანისმცემლებს მისი მოსმენა ინტერნეტითაც შეუძლიათ.*

*2009-ის მიწურულს ამ ისტორიული, „კოლუმბიური" რადიოს წამყვანი და ქართული მუსიკის სამსაათიანი „ნონსტოპის" იდეის ავტორი საქართველოში, თბილისში დაბადებული* ***ანრი ვართანოვია,*** *რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის კინოფაკულტეტზე სწავლობს, პარალელურად ქართულ ენასაც ეუფლება და FM 89,9-ის მასპინძელიცაა. ანრი სხვადასხვა კონტინენტებისა და ქვეყნების მუსიკას იკვლევს. განსაკუთრებით დიდ დროს – ბრაზილიურს უთმობს. ოთხშაბათობით მიჰყავს კიდეც ბრაზილიური მუსიკის ორსაათიანი პროგრამა. ამ ბოლო დროს კი ქართული, სომხური და რუსული მუსიკის ისტორიით დაინტერესდა. ქართული მუსიკის მარათონის საინტერესოდ და შინაარსიანად წარმართვა ანრისა და მისი „კოლუმბიელი" ქართველი მეგობრების ერთობლივი დამსახურებაა, ისევე როგორც უნივერსიტეტში გამართული სხვა ღონისძიებები. მაგალითად, ქართული სიმღერისა და ცეკვის საღამო; „მაგნუმის" წიგნისა და ქართული ინტერნეტ-ჟურნალის Beat Mag -ის სურათების სლაიდ-შოუ, რომელსაც ქართველების გარდა სხვა „კოლუმბიელებიც" დაესწრნენ. წარმოდგენას ფონად ქართული მუსიკა გასდევდა. დარბაზი სავსე იყო და ხუთსაათიანმა შოუმ დიდი წარმატებით ჩაიარა. სამომავლოდ ანრი და მისი მეგობრები უნივერსიტეტში ქართული ფილმების ჩვენების მოწყობასაც გეგმავენ.*

# ქართული ენა და მუსიკა ამერიკულ FM-ზე

**„წინწყარო ჩამოვიარე,**
**წინ შემხვდა ქალი ლამაზი,**
**წინ შემხვდა...**
**სიტყვა ვუთხარ და იწყინა,**
**სიტყვა ვუთხარ..."**

**„ყვითელი ფოთლები თან მიაქვს ქარს**
**და აყრის ფიფქებად შენს სახლის კარს.**
**გეძახი არავინ არა მცემს ხმას.**
**ყვითელი ფოთლები სიჩუმეს ჰგავს..."**

**– ქართული და სომხური მუსიკით თბილისური მოგონებების გამო დაინტერესდი?** – ვკითხე მეორე კურსის სტუდენტს, 20 წლის ანრი ვართანოვს.

– ერთი წლის ვიყავი, როცა საცხოვრებლად საქართველოდან ამერიკაში წამოვედით, ასე რომ დიდად არაფერი მახსოვს. უბრალოდ ვიცი, რომ თბილისში დავიბადე, ვცხოვრობდი ვაჟაფშაველაზე. კავკასიური, ქართული და სომხური კულტურა ჩემი ფესვებია და ამ მუსიკით ამიტომაც დავინტერესდი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდე, თუ საიდან მოვედი, რათა გავიგო, თუ სად მივდივარ. ამ ეტაპზე პოლიტიკაც მაინტერესებს. შარშან აგვისტოს ომის დროს ძალიან ვინერვიულე, ღრმა გრძნობები ამეშალა, დაბნეული ვიყავი, არ ვიცოდი, რა მეფიქრა: ერთის მხრივ, რუსული ენა ჩემი პირველი ენაა. მეორეს მხრივ, ქართული ფესვები მაქვს, მაგრამ ქართული არ ვიცი და ამიტომ ქართულად შესაბამის ინფორმაციას ვერ ვფლობდი.

ჩემი ოცნება კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლა იყო და ამიხდა კიდეც. ვსწავლობ ფილმის რეჟისურის ფაკულტეტზე, სადაც აკადემიურად კინოკრიტიკას, მუსიკის ისტორიას, კლასიკურ ფილმებს, ასევე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის კინემატოგრაფს, ფილმების მიმართ ანთროპოლოგიურ მიდგომას გვასწავლიან. ჩემი მომავალი პროფესია კინოკრიტიკაა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ მე ფილმის გადაღება არ შემეძლება. ქართულ ენას კი ნულიდან ვსწავლობ. ადრე ქართულს დოდონა კიზირია და რუსუდან ამირეჯიბი მასწავლიდნენ. ამჟამად ჩემი პედაგოგი ეთნომუსიკის სპეციალისტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ამერიკელი სტუდენტი ლორენ ნინოშვილია, რომელიც საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა და ქართულს კარგად ფლობს. ლორენს ქართული მუსიკის საკმაოდ მდიდარი კოლექცია აქვს და ბევრი რამ ამ რადიო პროგრამის დროს სწორედ მისი კოლექციიდან გამოვიყენეთ. კოლუმბიის უნივერსიტეტის რადიოსადგურში 50 ადამიანია დასაქმებული, მათ შორის მეც. ვმუშაობ მოხალისედ.




**– ვიცი, რომ ბრაზილიური მუსიკა განსაკუთრებით გიყვარს...**

– ზოგადად მუსიკა ძალიან მიყვარს და საკმაოდ დიდი ხანი ბრაზილიური მუსიკით ვიყავი გართული. იგი ახლაც ძალიან მაინტერესებს. ვცდილობ სხვადასხვა ქვეყნის მუსიკა შევისწავლო და ამას საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ.

**– როგორ გაჩნდა ამერიკულ FM-ზე ქართული მუსიკის აჟღერების იდეა?**

– ორგანიზაციის „ქართველ სტუდენტთა ასოციაცია კოლუმბიის უნივერსიტეტში" ახლანდელი პრეზიდენტი, ჩემი მეგობარი ვალერი სიხუაშვილი პირველ კურსზე გავიცანი. მას ჩემი იდეა რადიოში ქართული მუსიკის საღამოს მოწყობის თაობაზე გავანდე და ამ პროექტის განხორციელებასაც ერთად შევუდექით. რაც მთავარია, პროგრამის მსვლელობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ იგი კვირას, ღამის 11 საათიდან სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, მსმენელებისგან ძალიან კარგი და აქტიური უკუკავშირი გვქონდა, ყველა სატელეფონო ხაზი მუდმივად გადატვირთული იყო, რაც პროექტის წარმატებულობაზე მეტყველებს. მე თავს უფრო კარგად თანამედროვე და ულტრათანამედროვე მუსიკაზე მსჯელობისას ვგრძნობ. თუმცა, სამწუხაროდ, ქართველები თავადაც არ იცნობენ ქართულ ულტრათანამედროვე, ელექტრონულ მუსიკას, რომელთა ავტორები, ფაქტობრივად, საქართველოში არ ცხოვრობენ. მაგალითად, ჯეროვნად არ იცნობენ გერმანიაში მოღვაწე გოგი ძოძუაშვილს (ჯგუფი Goslab), თუნდაც მისსა და ირაკლი კაკაბაძის Post Industrial Boys-ს. რახან ჩემი სპეციალობა ტრადიციული მუსიკა არაა, ამიტომაც რადიოს სტუდიაში ქართული ასოციაციის წევრები მოვიწვიე, რათა მათ მშობლიური მუსიკისთვის ინგლისურენოვანი განმარტებები დაერთოთ. ქართველი სტუდენტების საშუალებით გადაცემა ძალიან საინტერესო გამოვიდა. მე მათი დიდად მადლობელი ვარ. ამგვარად ინგლისურენოვანი მსმენელისთვის პროგრამა უფრო საინტერესო და გასაგები გახდა. ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი მოვალეობაა უცხოელებისთვის საქართველოს შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდება. სხვათა შორის, ჩვენს მიერ მოწყობილ საღამოებზე რუსი სტუდენტებიც მოდიან.

**– ქართული ფილმების ჩვენებისთვის რომელი ფილმები გაქვთ შერჩეული?**

– გვინდოდა კოლუმბიის უნივერსიტეტში ორ ან სამ კვირაში ერთხელ ქართული ფილმების, მაგალითად, თენგიზ აბულაძის, ჩვენება მოგვეწყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმისთვის, რომ DVD-ზე გადატანილი ინგლისურენოვანსუბტიტრებიანი ქართული ფილმების ჩვენების უფლება მივიღოთ, ამისთვის RCC-ის (რუსეთის კინემატოგრაფიული საბჭო) თანხმობაა საჭირო (ამგვარ პროდუქციას ეს ორგანიზაცია ამზადებს) და ამიტომ ამ მხრივ საკმაო სიძნელეებსაც წავაწყდით. ქართული, ისევე როგორც სომხური ფილმების ორიგინალები დღესაც რუსეთის არქივებში ინახება და მათი გადმოცემა პრობლემურია იმის გამო, რომ ოდესღაც „გრუზია ფილმი" და, ბუნებრივია, „არმენ ფილმიც" საბჭოთა კინემატოგრაფის შემადგენელი იყო. თუმცა კოლუმბიაში შეგვიძლია ვაჩვენოთ ჯონ ფილიფსის დოკუმენტური ფილმი "მიშა მოსკოვის წინააღმდეგ. ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის გრძელდება", ზაზა რუსაძის „ბანდიტები" (თვითმფრინავის ბიჭებზე), დიტო ცინცაძის „ადამიანი საელჩოდან", ლევან კოღუაშვილის „ქალები საქართველოდან". უკვე აშკარაა ქართული კულტურითა და რეალობით დაინტერესება და არა მარტო – კოლუმბიის უნივერსიტეტში.

**ია მერკვილაძე,**
**აშშ, ნიუ-იორკი**

**სურათზე (მარცხნიდან): „ქართველ სტუდენტთა ასოციაციის" წარმომადგენლები ნუცა კობახიძე, მზია ჩიხრაძე, ნინო რევიშვილი, ლორენ ნინოშვილი, ვალერი სიხუაშვილი, ანრი ვართანოვი და მუსიკოსი ლაშა კეტენაძე.**



◎ კალათბურთი

# დღეს ბოლო აკორდია



**რუსთავის „ენერჯი ინვესტისა“ და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდის დღევანდელი მატჩით მთავრდება კალათბურთელ ვაჟთა XIX ეროვნული ჩემპიონატის I წრე. გათამაშების ლიდერთა ცენტრალური შეხვედრის წინ ორივემ, რომ იტყვიან, გაინავარდა და ცალი ხელით სძლია მეტოქეებს.**

**„ენერჯი ინვესტი“ – „დინამო“ 96:47.**

ქვემოქართლელთა სასტარტო ხუთეულმა დებიუტშივე შეუქმნა პარტნიორებს ქულათა სოლიდური მარაგი და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ შედეგიანობის მხრივ ყველაზე მეტი მონაგარი რეზერვისტ ხმელიძეს აღმოაჩნდა – 17 ქულა.

**საუ – ჭიათურა 95:70**

მარხვაშვილისა და ჩაჩიბაიას არყოფნაში ყოჩობა სასოფლოელთა სნაიპერმა დიდიამ იტვირთა, რომელმაც საკუთარი დაბადების დღე 16 ქულით აღნიშნა. აქედან სამი სამქულიანი იუბილარმა პირველ პერიოდში ჩააგდო, როცა მის თანაკლუბელთაგან ათანელიშვილმაც ივაჟკაცა – 10 ქულა, ხოლო სტუმართაგან – გურულმა – ასევე 10 ქულა (სულ – 22 ქულაძ. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ უთანასწორო ბრძოლის ბომბარდირიც ყვირილისპირელი გახდა – სვანიძემ 27 ქულას მოუყარა თავი.

**VIII ტურის დანარჩენი თამაშები ასე დასრულდა: ბათუმი – შსს 94:83** (მასპინძელთა აფრიკელმა ლეგიონერმა როდუმტამ ტრავმის მიუხედავად სამმაგი დუბლი შეასრულა: 26 ქულა, 13 მოხსნა და 10 დაფარებაძ, **„ავიამშენი“ – სამედიცინო აკადემია 90:64** (ავიატორთა ცენტრმა ათუაშვილმა სეზონში პირადი რეკორდი დაამყარა – 28 ქულაძ, **თსუ – სოხუმი 90:69.** ზღვისპირელებს ქება ეკუთვნით, რადგან ერთ-ერთ ფავორიტთან შესვენებამდე ღირსეულად იომეს – 32:38. მათმა ფორვარდმა კვეტენაძემ 22 ქულა მოაგროვა.

◎ დაფასება

# სპორტის დეპარტამენტის რჩეულნი

**კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ფილარმონიის „ივენთი ჰოლში“ 2009 წლის შედეგები შეაჯამეს. საუკეთესოები რამდენიმე ნომინაციაში გამოავლინეს. წლის ფედერაციად რაგბის კავშირი (პრეზიდენტი – გიორგი ნიჟარაძეძ გამოცხადდა, რომელსაც წლეულს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა.** საგულისხმოა, რომ ჩვენმა მორაგბეებმა წლეულს ევროპის ერთა თასი მეორედ დაიმსახურეს. საუკეთესო ნაკრებად კალათბურთელთა ეროვნული გუნდი აღიარეს. არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენმა კალათბურთელებმა ევროპის B ჩემპიონატში 10 შეხვედრიდან 9 პაექრობა მოიგეს და A დივიზიონში აღზევდნენ. ამდენად, ლოგიკურიცაა, რომ 2009 წლის საუკეთესო მწვრთნელად კალათბურთელთა სერბი დამრიგებელი იგორ კოკოშკოვი დაასახელეს. გამორჩეულ სპორტსმენებად მიიჩნიეს და სპეციალური საჩუქრებით დააჯილდოვეს ტყვიის სროლაში წლევანდელი სუპერთასის გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე,** მსოფლიოს ჩემპიონატების ბრინჯაოს მედალოსნები – ძალოსანი **ალბერტ კუზილოვი,** მოკრივე **კობა ფხაკაძე,** თავისუფალი სტილით მოჭიდავე **გიორგი გოგშელიძე,** 20 და 23-წლამდელ ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონი **პაატა მერებაშვილი,** ყაზანის „რუბინის“ შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონატის გამარჯვებული ფეხბურთელი **ლაშა სალუქვაძე.** წლის საუკეთესო სპორტსმენად ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი **მანუჩარ**



**ცხადაია** (მწვრთნელი – ვაჟა კრავეიშვილიძ დაასახელეს.

გამორჩეული სპორტსმენები და ფედერაცია კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა – მზია ჯუღელმა და რაფიელ ჩიმიშკიანმა დააჯილდოვეს.

– ისეთი ბედნიერი ვარ, რომ სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, – მითხრა მანუჩარ ცხადაიამ. – ქვეყნის პირველი სპორტსმენობა დიდი პასუხისმგებლობაა და მას გამართლება უნდა. წლეულს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მოსკოველ ამბაკო ვაჩაძესთან წაგებისთვის ჯავრი მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ვიყარე. მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ბაქოელ მანსუროვს კონტინენტის პირველობაზე მესამე ადგილისთვის ბრძოლა მოვუგე, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მასთან დავმარცხდი და მეორე ადგილს დავჯერდი. მსაჯებს მეტი სამართლიანობა რომ გამოეჩინათ, „ოქრო“ ჩემი იქნებოდა. არა უშავს, გაისად აპრილში ბაქო ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს და მანსუროვთან რევანშს იქ ავილებ. საერთოდ კი ვეცდები, გაისად უკეთესი შედეგები მოვიპოვო.

**ვაჟა კრავეიშვილი:** პატარა ბიჭი იყო მანუჩარ ცხადაია, ბიძამ ჩემთან სავარჯიშოდ რომ მოიყვანა. მონდომებული, შრომისმოყვარე ჭაბუკია და მჯერა, რომ იგი დიდ სიმაღლეებს დაიპყრობს.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა აჯილდოებს მანუჩარ ცხადაიას.**
**ავტორის ფოტო.**

◎ მინიფეხბურთი

# ვიტალი დარასელიას ხსოვნისა

**თბილისის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი – ზაზა დოლიძეძ, სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის (თავმჯდომარე – იროდი**



**ბეჟაშვილიძ ინიციატივით არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში დამთავრდა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, თბილისის „დინამოს“ ყოფილი წევრის ვიტალი დარასელიას მემორიალი (მთავარი მსაჯი – თემურ კალაძეძ მინიფეხბურთში.** საასპარეზოდ თავი მოიყარეს თბილისის მერიის, მეტროპოლიტენის, რკინიგზელთა, „სოკარ-პეტროლიუმის“ კომპანიისა და „მტკვარი-ენერგეტიკის“ გუნდებმა. შეჯიბრება წრიული სისტემით წარიმართა. პირველ ადგილზე გავიდა თბილისის მერიის ნაკრები (თემურ გიორგაძე, გიორგი ელიშერაშვილი, ოთარ კუხალეიშვილი, გიორგი კვანტალიანი, ბექა ბოლღაშვილი, ზვიად ხაჩირაშვილი, კახა ქარაია, თენგიზ ჯაფარიძე, დავით ბერიანიძე, ლევან კასრაძე, კახა ბადრიაშვილი, ზაზა ჩოხელი, აჩიკო სებისკვერაძეძ, რომელმაც დაამარცხა მეტროპოლიტენი (3:1ძ, სოკარი (6:1ძ, ენერგეტიკა (8:1ძ და ერთადერთი ორთაბრძოლა დათმო რკინიგზასთან (4:5ძ. მეორე ადგილი ხვდა სოკარს, რომელმაც ასევე სამი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩა გამარჯვებულს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მეტროპოლიტენი, რკინიგზა და ენერგეტიკა.

ტურნირის შემდეგ პრიზიორებთან ერთად საუკეთესო ფეხბურთელები – ალეკო მაჭარაშვილი (რკინიგზაძ, თემურ გიორგაძე, თემურ ჯაფარიძე (ორივე – მერიაძ და ირაკლი შელეგია (სოკარიძ დააჯილდოვეს. საუკეთესო ორგანიზატორად ზაალ აფციაური (მეტროპოლიტენიძ აღიარეს. სპეციალური პრიზი გადაეცა ახალგაზრდა მწვრთნელ ვახტანგ ჯორბენაძეს (ენერგეტიკაძ.

საუკეთესოები თბილისის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა და იროდი ბეჟაშვილმა დააჯილდოვეს.

**მანანა ხატიაშვილი**

◎ ბატუტზე ხტომა

# კვარცხლბეკზე

თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის დარბაზში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა ბატუტზე ხტომაში. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

**სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით: გოგონები.** 1. ნანა გოგაშვილი, 2. ანა ოდიშვილი, 3. თინათინ ჩადუნელი. **ვაჟები.** 1. რუსტამ კალოევი, 2. თემურ სონღულაშვილი, 3. ლაშა გაბაშვილი.

**პირველი თანრიგის პროგრამით: გოგონები**. 1. ნატა ჩადუნელი, 2. მარიამ მწითური, 3. ქეთევან ენუქიძე. **ვაჟები.** 1. გიორგი ენუქიძე, 2. სერგო ავეტისიანი, 3. ნიკოლოზ ჯალაბაძე.



◎ ინტერნეტიდან

## მილიარდი „რეალში“

**შეიხი მანსურ ბინ ზეიედ ალ ნაიიანი ფიქრობს მადრიდის სამეფო კლუბის „რეალის“ შეძენაზე. ის უკვე ფლობს ინგლისურ „მანჩესტერ სიტის“.**

როგორც იტყობინებიან, აბუდაბიელი ბიზნესმენი მზადაა კლუბისთვის მილიარდი ევროს გადასახდელად. თუმცა გაზეთი AS არ ასახელებს ამ ცნობის წყაროს. თანაც მიაჩნია, რომ ასეთი გარიგება ნაკლებად დასაჯერებელია. თურმე, რათა „რეალი“ გაიყიდოს, საჭიროა ყველა იმ გულშემატკივრის თანხმობა, ვისაც კლუბის აქციები გააჩნია.

ვარაუდობენ, რომ შეიხისა და „რეალის“ პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის შეხვედრა, შესაძლოა, გაიმართოს 2010 წლის დასაწყისში.

მასმედიის ცნობით, სამეფო კლუბს 327 მილიონი ევროს ვალი აქვს.

თუკი მილიარდერი შეიხი მაინც შეძლებს კლუბის ყიდვას, მაშინ მან „მანჩესტერ სიტი“ უნდა გაყიდოს, რადგან, **უეფას** რეგლამენტის მიხედვით, ერთსა და იმავე ადამიანს არ შეუძლია ორი სხვადასხვა გუნდის მფლობელობა.

## ქორწილამდე მოურჩება?

**თუმცა ჯერ არ იციან, ვინაა სექსსიმბოლოს, ყოფილი ფიგურული მოციგურავის, ნამდვილი პოპსასწაულის ანა სემენოვიჩის საქმრო, მაგრამ როდესაც ლამაზმანის მომხიბვლელ მკერდზე რაღაც შავი ლაქები შენიშნეს, განგაში ატეხეს ისე, რომ არ დაუდგენიათ, რა იყო ის, ალერგიული რეაქციის გამოძახილი, თუ კოლოს ნაკბენი, ბოლოს კი თავი იმითინუგეშეს, – ქორწილამდე მოურჩებაო.**

ლამაზმანმა ანამ მონაწილეობა მიიღო საახალწლო ზეიმის რეპეტიციაში. შოუ-ბიზნესის, კინოსა და სპორტის 30 ბრწყინვალე ვარსკვლავთან ერთად ის წარმოადგენს ახალ კოლექციას.



სხვათა შორის, ამ დღეებში ანა შენიშნეს მოსკოვის ოჯახისა და რეპროდუქციის ცენტრში. თუკი გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, ჯგუფის „ბრწყინვალე“ სოლისტი ფეხმძიმედაა და აპირებს გათხოვებას მოსკოველ ბიზნესმენზე. თუმცა მის სახელს ანა გულმოდგინედ მალავს. მათ ქორწილს კი მაინც 2010 წლის დასაწყისისთვის მოელიან.

◎ აღიარება

# „ძეგლი დაუდგეს ხელთუქმნელი“

**მსოფლიოს ცნობილი სტადიონი ბრაზილიაში „მარაკანა“ დაამშვენა „თეთრ პელედ“ აღიარებული ბრაზილიელი ფორვარდის ზიკოს ძეგლმა. ის საუკეთესო ბომბარდირია ამ სტადიონის ისტორიაში – მან იქ 333 გოლი გაიტანა. თანაც სწორედ ამ არენაზე თამაშობს ზიკოს მშობლიური გუნდი „ფლამენგო“.**

საყვარელი ფეხბურთელისთვის ძეგლის აგების ინიციატივა გულშემატკივრებიდან დაიწყო. მათ გადაწყვიტეს, ასე აღნიშნონ თავდამსხმელის დამსახურება მათსა და „ფლამინგოს“ წინაშე – ამ კლუბში ნათამაშები 731 მატჩში ხომ მან 508 გოლი გაიტანა.



ფორუმი

# სტომატოლოგთა საშობაო კონგრესი

**სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ახალგაზრდა სტომატოლოგთა საზოგადოების საშობაო კონგრესი გაიმართა. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ სტომატოლოგიური კლინიკები: „მედი“, „დენტექსი“, „თიბისი დენტი“, „ცედექსი“ და ა. შ. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი – გიორგი მენაბდე, რომელმაც სპონსორობისთვის მადლობა გადაუხადა სტომატოლოგიურ კლინიკებს.**

„ეს არის ახალგაზრდა სტომატოლოგთა II საშობაო ტრადიციული კონგრესი. მსგავსი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ესწრება თითქმის ყველა უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც წარმოადგინეს სამეცნიერო ნაშრომები. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა როგორც განათლების თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკოსი ექიმებისთვის“.

**გიორგი ხაჭაპურიძე, ახალგაზრდა სტომატოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.**

„მსგავსი კონგრესი შარშანაც ჩავატარეთ და დიდი სურვილი გვაქვს, ყოველწლიური ხასიათი მიიღოს. ამის გარდა, სტომატოლოგებისთვის რამდენიმე დღეა ბაკურიანში საშობაო სემინარები მიმდინარეობს, რაც ხელს შეუწყობს მათ განათლების საფუძვლიან დაუფლებაში.

კომპეტენტურმა ჟიურიმ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან სამი საუკეთესო ნაშრომი დაასახელა და გამარჯვებულებს საჩუქრებიც გადასცა.

საახალწლო განწყობა

# ყველაზე მეტად ბავშვებს უხარიათ...

**რაც უფრო გვიახლოვდება ახალი წელი, მით უფრო მეტი ნათურა ინთება, ნაძვის ხე ირთვება და ქუჩებში დამთვალიერებელთა რაოდენობა მატულობს. მეიდანზე საახალწლო ფესტივალი გაიხსნა. ორი კვირის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს საახალწლო ღონისძიებებზე, მათ შორის გამოფენაზე და კონცერტებზე დასწრების საშუალება ექნებათ. შარდენზე გაიხსნა მუნჯური კინოს საღამოც. ბამბის რიგში კი გამოიფინა სხვადასხვა კომპანიის ნაძვის ხეები, რომლებიც შემდეგ მიუსაფარ ბავშვთა სახლებს გადაეცემა.**

გამოფენას უამრავი ადამიანი ათვალიერებდა, მათ შორის, ბავშვები და მოხუცები.

**ნატო ხაჭაპურიძე, დამთვალიერებელი:**

– ბავშვი გამოვიყვანე ნაძვის ხის სანახავად, ძალიან გახარებულია, ქალაქში ნამდვილი საახალწლო განწყობაა, ნათურებით მორთო ქუჩები, და ეს უფრო გვიმაღლებს საზეიმო განწყობას, ამინდიც კარგია, ხელს გვიწყობს.

– ძალიან მომწონს ეს ნაძვის ხე, ისეთია, როგორც ზღაპარში, მიხარია ახალი წლის მოსვლა, თოვლის პაპას ველოდები და ძალიან მინდა „ბარბის სახლი“, „კარაოკე“ და ბევრი თოვლი მომიტანოს. ლექსები ვისწავლე, და თუ ყველაფერს მომიტანს აუცილებლად მოვუყვები... მე და დედიკომ სახლშიც მოვრთეთ ნაძვის ხე და სურვილები ჩავიფიქრეთ, მაგრამ აქ უფრო დიდი და ლამაზია... – მეუბნება პატარა.

რუსთაველის გამზირისკენ განსაკუთრებით ბავშვებს მიუხარიათ – დიდ ნაძვის ხესთან მათ უამრავი სათამაშო და მოსართავები ელოდებათ. გოგონებს განსაკუთრებით მოსწონთ სანტა-კლაუსის ქუდები ნაწნავებით.

– 2 ლარად შევიძინე და ახალ წელს დავიხურავ, – მეუბნება 13 წლის ქეთევან ზურაშვილი, – ჩემს ძმას კი ვეფხვი უნდა ვაჩუქო. მჯერა, ვეფხვის წელიწადი მშვიდობას და უამრავ სიხარულს მოგვიტანს პატარებს.

**თინათინ ბორცვაძე**

ქველმოქმედება

# მე დავბრუნდები!



**როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლადო ათანელის – ჩვენი გამოჩენილი საოპერო მომღერლის საქველმოქმედო ფონდის „თანადგომის“ პრეზენტაცია და გალა-კონცერტი.**

მომნუსხველი, დაუვიწყარი გახლდათ ეს გალა-კონცერტი მსოფლიოს საოპერო ხელოვნების კაშკაშა ვარსკვლავების ბადრი მაისურაძის, იანო(თამარ) ალიბეგაშვილის, ქეთევან ქემოკლიძის, თეონა დვალის, შალვა მუქერიას, თბილისის ოპერის სოლისტების მაყვალა ასპანიძის, მანანა იორდანაშვილის და ახალგაზრდა მომღერლის ირაკლი ათანელიშვილის მონაწილეობით.

თბილისელ მაყურებლებთან ერთად გალა-კონცერტს ესწრებოდნენ ლადო ათანელის მშობლიური დედოფლისწყაროს რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები, მაჟორიტარი დეპუტატი, კახეთის მხარის გუბერნიის წარმომადგენლები, ქ. დედოფლისწყაროს და სოფელ ჯაფარიძის ლადო ათანელის სახელობის ხელოვნების სკოლის პედაგოგები. ეს კონცერტი პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემოდა „იმედის“ არხზე და მთელი საქართველო ტელევიზიით ადევნებდა თვალს ამ ბრწყინვალე მომღერალს, რომელმაც დააფუძნა საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“. მაყურებელი ტელე-მარათონშიც მონაწილეობდა. შეგროვდა 5 ათას ლარზე მეტი თანხა, რომელიც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ უსინათლო ბავშვებს და ოპერის მომღერალ ანზორ ფიოლიას ოპერაციას მოხმარდება.

კონცერტის ბოლოს ლადო ათანელმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, თბილისის ოპერისა და ბალეტის სიმფონიურ ორკესტრს, გუნდსა და დირიჟორს დავით მუქერიას, დამდგმელ რეჟისორს დავით საყვარელიძეს, ფონდის თავმჯდომარეს ციცო ჯაფარიძეს.

– მე დავბრუნდები და ვიმღერებ თქვენთვის; როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ოპერის სცენაზე, სწორედ თანადგომა მჭირდებოდა, ამიტომ დავარქვი ფონდს „თანადგომა“. ამ ფონდის საშუალებით მე დავეხმარები ნიჭიერ ხელოვანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, – თქვა ლადო ათანელმა.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მამულიშვილები.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

დაიჯესტი

## შეგონების ძალა

**ტანზანიაში, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ტბა მანიარას ნაპირებზე მისული კაცი ნაგვის ნასახს ვერ ნახავს, მიუხედავად იმისა, რომ იქ მუდამ უამრავი ტურისტი მიდის. ტბის მახლობლად არ არის გარემოს დაბინძურებისთვის ჯარიმისა თუ სასჯელის თაობაზე გაფრთხილებული არც ერთი ფირნიში. მათ მაგივრად პარკის შესასვლელში უზარმაზარი პლაკატია გამოკრული წარწერით:**



„ქალბატონებო და ბატონებო! თქვენივე სირცხვილის თავიდან ასაცილებლად ნურავის ათქმევინებთ, რომ ვიდრე თქვენ აქ მობრძანდებოდით, აქაურობა მშვენიერი იყო!“.

## გინდა „ცისფერი“ იყოს, გინდა „ვარდისფერი“

**პარიზში ცოტა ხნის წინათ გახსნილი საგანგებო დამკრძალავი ბიუროს მეპატრონემ პიერ ჟუბერმა განაცხადა, რომ მისი ფირმა მხოლოდ იმ კლიენტებს „მოემსახურება“, რომლებმაც სიცოცხლეშივე საჯაროდ აღიარეს საკუთარი ჰომოსექსუალობა.** საგულისხმოა ისიც, რომ თავის პატრონს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ მისი თანამშრომლებიც და მზად არიან თავიანთი „ცისფერი“ თუ „ვარდისფერი“ კლიენტურის ნებისმიერი ახირება შეასრულონ.

## განა მაინც სიმდიდრე სჯობს?

**ბევრ ჩვენგანს, ალბათ, არაერთხელ სმენია, რომ მუშაობისგან ჯერ არავინ მომკვდარა. ეჭვი არ არის – ეს თეზისი, ნაწილობრივ, სიმართლეს შეესაბამება, თუმცა უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ სად, რამდენს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რა ანაზღაურებით მუშაობს კაცი.**

ჩვენ დროში, მით უმეტეს სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის პირობებში, ადამიანები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი იმუშაონ, მრეწველობის აღმავლობის პერიოდში ისინი რამდენიმე ადგილზეც კი მუშაობენ, რათა მეტი ფულის დაგროვება შეძლონ „შავი დღისთვის“.



არადა ვაშინგტონის ჯანდაცვის სკოლის სწავლულის სტეფან ბეზრუჩკას აზრით, ადამიანთა ჯანმრთელობაზე ყველაზე სასიკეთო ზეგავლენას ახდენს ოჯახში და ახლობლებთან გატარებული დრო. მას მიაჩნია, რომ კავშირი ადამიანების ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ კრიზისს შორის განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა ფართო კვლევის ნაწილი უნდა იყოს, თუმცა წინასწარვე შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეროვნული სიმდიდრის ზრდა ავტომატურად სულაც არ იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას.

## ცეცხლსასროლი იარაღი, კალენდარი და ქაღალდის ფული

**მონღოლეთის მასმედიაში გამოითქვა ერთობ საგულისხმო აზრი იმის თაობაზე, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, თორმეტწლიანი ციკლური კალენდრისა და ქაღალდის ფულის პირველშემქმნელთა პატივი... თანამედროვე მონღოლთა წინაპრებს ეკუთვნით.** ასევე აღნიშნავენ, რომ შორეული აღმოსავლეთიდან დაწყებული ვიდრე ალტაის მთებამდე უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი კიდანის იმპერია, გუნების კულტურის მემკვიდრე იყო, რომელსაც, თავის მხრივ, მონღოლური ფესვები ჰქონდათ.



ისტორიული ქრონიკების ცნობებით კი სწორედ კიდანებმა ანუ მონღოლებმა, რომლებმაც ჩინელების მიერ გამოგონილი დენთის მოხმარება ისწავლეს, 1044 წელს პირველი ცეცხლსასროლი იარაღი შექმნეს. რაც შეეხება კალენდარს, მას გუნები ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 500 წლით ადრე იყენებდნენ. ქაღალდის ფული კი, ევროპელებამდე და ქაღალდის შემქმნელ ჩინელებამდე დიდი ხნით ადრე, თავის იმპერიაში ხმარებაში თვით ჩინგისხანმა შემოიღო.

**იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის ვახტანგ როზაქიძის დედის ქალბატონ**

**თამარ ბარბაქაძის**
**გარდაცვალების გამო.**

ინფორმაცია

## ვირუსის კიდევ ერთი მსხვერპლი ქუთაისში

**ე. წ. ღორის გრიპით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. 31 წლის ალექსანდრე სულაქველიძეს ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობდნენ.**

**პაციენტი სტაციონარში 22 დეკემბერს მოათავსეს. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა უკვე გართულებული იყო. ალექსანდრე სულაქველიძეს მწვავე პნევმონია, სუნთქვის უკმარისობა და მაღალი სიცხე აღენიშნებოდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**განცხადება**

**ქ. თბილისის მ. გრუშევსკის სახელობის №41 სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის 20 კვ.მ. ფართის იჯარით გადასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. საიჯარო ურთიერთობების მაქსიმალური ვადა – 5 წელი.**

კონკურსი ცხადდება სკოლის შენობის 148.06 კვ.მ ფართის იჯარით გასაცემად მუსიკალური წრის ფუნქციონირებისთვის, მაქსიმალური ვადა 2 წელი.

განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №41 საჯარო სკოლის დირექციაში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ქ. თბილისის №41 საჯარო სკოლა. მის. ი. აბაშიძის №15.**

**განცხადება**

**ქ. თბილისის სსიპ №14 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობა I სართულზე განთავსებულ 68,26 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისთვის.**

მინიმალურ წლიური საკონკურსო ფასი – 2400 ლარი, საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადა – 2 წელი.

განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №14 საჯარო სკოლის დირექციაში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, ღოღობერიძის ქ. №10 ტ.: 899 26 03 77.**

დირექტორი ზვიად მიმინოშვილი

## ყველაფერი ყველაფერზე

### კლეოპატრა არც ისეთი ლამაზი იყო



როცა ანტიკური ისტორიკოსი დიონ კასიოსი წერს, რომ „კლეოპატრა ისეთი ლამაზი იყო, რომ მისი მსგავსი დედამიწის ზურგზე არასოდეს არსებულა“, მას ხომ ეგვიპტის დედოფალი თვალითაც არ უნახავს, რადგან მასზე გაცილებით უფრო გვიან ცხოვრობდა.

სინამდვილეში კი კლეოპატრა არც ისეთი ლამაზი იყო, თუ, მით უმეტეს, დღევანდელ მანეკენების კრიტერიუმებს გამოვიყენებთ. დედოფალს ძალიან გრძელი ცხვირი ჰქონდა. იგი, რომ იტყვიან, უფრო დიდებული გარეგნობისა იყო, ვიდრე ლამაზი. ამას მისი დღემდე შემონახული გამოსახულებებიც ადასტურებენ. რაც შეეხება მისით ისეთი განთქმული პიროვნებების გატაცებას, როგორებიც იყვნენ გაიუს იულიუს კეისარი და მარკუს ანტონიუსი, აქ ძირითადი როლი დედოფლის მომხიბვლელობამ და ჭკუამ შეასრულა.

ისიც დავძინოთ, რომ წარმოშობით კლეოპატრა ეგვიპტელიც არ ყოფილა. იგი პტოლემაიოსების სამეფო სახლის წარმომადგენელი იყო. დინასტიის პირველი წარმომადგენელი, გნებავთ დამფუძნებელი გახლდათ ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი სარდალი (ზოგი ვერსიით, მისი ნახევარძმაძ პტოლემაიოსი, ცხადია, ტომით მაკედონელი. კლეოპატრას სიკვდილის შემდეგ დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

### „ადამიანის საუკუნე 70 წელია“



ამ სიტყვებს (ცხადია, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იგულისხმებაძ გადმოცემით პლატონს მიაკუთვნებენ (თვითონ კი დაახლოებით 80 წელი იცხოვრაძ.

პლატონამდე ეს აზრი სოლომონ ბრძენსაც მიაწერეს.

### რატომ არ სწყალობდნენ მდიდრები ფილოსოფოსებს?

ერთხელ დიოგენეს ჰკითხეს, როგორ ხდება, რომ ადამიანები მოწყალებას აძლევენ მათხოვრებს, ფილოსოფოსებს კი არასოდეს. „იმიტომ, რომ კარგად იციან: შეიძლება დაკოჭლდნენ კიდეც და დაბრმავდნენ, მაგრამ ბრძენები არასოდეს გახდებიან“.

როცა ერთ წუწურაქს დიოგენემ მოწყალება სთხოვა, მდიდარი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა. „პატივცემულო, – უთხრა დიოგენემ, – მე შენ პურის ფულს გთხოვ, ძეგლის დასადგმელს კი არა“.

მუნდში რომ ჩავიდა, ნახა, რომ ქალაქს უზარმაზარი კარები აქვს, თვითონ კი პატარაა. მან აქაურებს ასე ურჩია: „მუნდის მოქალაქეებო, დაკეტეთ კარები, რათა თქვენი ქალაქი არ გაიპაროს“.



მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

29 დეკემბერი

**30-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.**

წმინდა წინასწარმეტყველი ანგეასი (500 ქრისტეშობამდეძ; მოწამე მარინისა (IIIძ; ნეტ. დედოფლისა თეოფანიასი (893-894ძ.



ამოდის 07.27
ჩადის 16.35



ამოდის 02.13
ჩადის 12.50

### დაიბადნენ:

**1904 – ანდრო ჟორდანია,** სპორტსმენი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1911 – გივი ჟორდანია,** ისტორიკოსი, მედიევისტი. გარდაიცვალა 2001 წელს.

მედიანიუსი

## შემთხვევა

### ღვინის ქარხანაში აფეთქება მსხვერპლით დასრულდა

„ასკანელი ძმების“ ღვინის ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად ქარხნის მექანიკოსი დაიღუპა.

37 წლის მამაკაცის ცხედარი ჯერ კიდევ აფეთქების შედეგად ჩამოშლილი ქარხნის ერთი ნაწილის ნანგრევებში იყო მოყოლილი. მის ამოსაყვანად ადგილზე სამაშველო სამუშაოები სპეციალური ტექნიკის გამოყენებით მუშაობდნენ.

შემთხვევა ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე გუშინ დილით, დაახლოებით 12 საათისთვის მოხდა. აფეთქდა 20-ტონიანი სპირტის ავზი, თუმცა მომხდარის მიზეზები ჯერ კიდევ უცნობია.

აფეთქების შედეგად გაჩენილი ხანძრის ლოკალიზება სახანძრო სამსახურის 9 ბრიგადამ 15 წუთში შესძლო.

ჯი-ეიჩ-ენი

გაზეთის დღევანდელი ნომერი ოცდათექვსმეტგვერდიანია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ინფორმაცია

### თვითმკვლელობა – მუხიანში

მუხიანის მეოთხე მიკრორაიონში უბედური შემთხვევა მოხდა. 34 წლის თემურ აივაზოვი საცხოვრებელი სახლის მეცხრე სართულიდან გადახტა.

აივაზოვი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თბილისის მეოთხე კლინიკურ საავადმყოფოში ცოცხალი გადაიყვანა, თუმცა ექიმების განცხადებით, დაშავებულს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმები აღენიშნებოდა, რის გამოც ის რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

თემურ აივაზოვს მეუღლე და ორი შვილი დარჩა. ის შემთხვევის დროს სახლში მარტო იმყოფებოდა.

ჯი-ეიჩ-ენი

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +12 |
| ქუთაისი. | +10 – +17 |
| ბათუმი. | +10 – +13 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +1 – +4 |



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4162 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7097 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.5320 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4129 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0965 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1151 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1099 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4660 ლარი |





## ანეკდოტები

– არა, ძამა, არ უნდა მომეყვანა ცოლი, – ამბობს გურული.

– რეიზა ამბობ ასე? – ეკითხება თანამოსაუბრე.

– რეიზა და, როცა დავთვრები მაი ვერ მიტანს, ხოლო როცა გამოვფხიზლდები, მე არ მეჩვენება თვალში.

* * *

როდესაც მთავრობას ხალხის გაძარცვა სურს, მუდამ იყენებს უცხოურ სიტყვებს: პრივატიზაცია, დეფოლტი, კრიზისი, ვალორიზაცია...

* * *

მიხო ტანსაცმელს იცვლის. ცოლი თვალს შეავლებს და ეკითხება:

– ძვირფასო, ასე ძალიან ვინ დაგიჩხაპნა ზურგი?

– არ დაიჯერებ, მაგრამ, – უხერხულად იშმუშნება მიხო, – გუშინ ქუჩაში მიმავალს ვილაცის აივნიდან კატა დამახტა... არ გჯერა, ხომ?



– როგორ არ მჯერა! ზურგზე პომადითაც გაწერია: მე ვარ, შენი ფისო!

* * *

ისინი ცხოვრობდნენ ბედნიერად და დიდხანს... ჯერ ერთი თვე – ბედნიერად, მერე კი 50 წელი – დიდხანს.

* * *

დაივიწყეთ სახსრების ტკივილი. დაივიწყეთ ჰიპერტონია და კარიესი. დაივიწყეთ ყველაფერი, რაც აქამდე გაწუხებდათ. ახლა ხომ მე გყავარ, მე – სკლეროზი.

* * *

– გუშინ სვეტას ვაკოცე.

– აბა, ფხიზელი ვიყავიო?!

* * *

მიხო პატარა შვილთან ერთად ქუჩაში მიდის.

– მამი, ეს რა არის? – მიანიშნებს ბავშვი აფთიაქის ფირნიშზე, რომელზეც თასზე შემოხვეული გველია ასახული.

– ეს, შვილო, ბებიაშენია, ნაყინს მიირთმევს.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.